



მოგზაურობა საქართველოში:  
ჩანაწერები

F 200. 3/10



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია  
 საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია  
 GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES  
 COMMISSION FOR THE STUDY OF GEORGIAN  
 HISTORICAL SOURCES

13

საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის

საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის  
 იტალიის განყოფილება

საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის  
 იტალიის განყოფილება  
 საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ

საქართველოს ისტორიის  
 წყაროების კომისიის  
 იტალიის განყოფილება

LI

მარჯორი უორდროვი

მოგზაურობა საქართველოში:  
ჩანაწერები

ინგლისურიდან თარგმნეს, შენიშვნები და  
კომენტარები დაურთეს  
მედეა აბაშიძემ და გია ჯოხაძემ

წინასიტყვა  
მედეა აბაშიძისა

თბილისი

2012

FOREIGN HISTORICAL SOURCES ABOUT GEORGIA



LI

MARJORY WARDROP

NOTES OF A JOURNEY  
IN GEORGIA

Translation and comments  
by  
Medea Abashidze and Gia Jokhadze

Introduction by  
Medea Abashidze

TBILISI  
2012



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა და არქივი  
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა და არქივი



ამ წიგნით ქართველ მკითხველს პირველად მიეცემა შესაძლებლობა, სრულად გაეცნოს ქართველი ხალხის დიდი მეგობრის, ცნობილი ინგლისელი მთარგმნელის, ლიტერატორისა და საზოგადო მოღვაწის მარჯორი უორდროპის საქართველოში მოგზაურობის (1894-1895 წწ.) ამსახველ ჩანაწერებს. თარგმანი შესრულებულია მარჯორის ხელნაწერიდან, რომელიც დაცულია ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლის ბიბლიოთეკაში. წიგნს ერთვის მარჯორი უორდროპის ხელნაწერის ასლი. მარჯორი უორდროპის ხელნაწერი, როგორც პირველწყარო, ვფიქრობთ, დაეხმარება მე-19 საუკუნის საქართველოსა და, ზოგადად, ქართული კულტურის ისტორიით დაინტერესებულ მეცნიერებს, სტუდენტებსა და ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს.

რედაქტორი **როინ მეტრეველი**, აკადემიკოსი

რეცენზენტი **ნათელა ვაჩნაძე**, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

იბეჭდება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს გადანყვეტილებით

ISBN 978-9941-0-4288-1



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

This book promotes to bring to public attention the translation of Marjory Wardrop's unpublished manuscript, which is a part of the Wardrop's collection in Bodlean library at Oxford University. Like her Brother sir Oliver Wardrop, Marjory composed interesting account of her travel to Georgia (1894-1895 years), where narrates about Georgia, its history, culture, traditions and people. This publication with essay, comments and photographs is a tribute to the memory of outstanding English translator and public figure, which did much to foster knowledge about Georgia and Caucasus among English-speaking readers. Book is supplied by copy of the manuscript. This publication will be intended for scholars, students and recomend to all who care for trustworthy information about Georgia.

Editor **Roin Metreveli**, academician

Reviewer **N. Vachnadze**, Doctor of History, professor

Published by aproving of the editorial council  
of Georgian National Academy of Sciences

## შინაარსი

უორდროპები და საქართველო (მ. აბაშიძე).....	9
მარჯორი უორდროპი. მოგზაურობა საქართველოში: ჩანაწერები (მ. აბაშიძისა და გ. ჯოხაძის თარგმანი).....	23
შენიშვნები და კომენტარები (მ. აბაშიძე, გ. ჯოხაძე) .....	46
მარჯორი უორდროპის ხელნაწერის ფოტოასლი .....	66

## Table of Contents

Wardrops and Georgia (M. Abashidze).....	9
Marjory Wardrop. Notes of a Journey in Georgia (Translated by M. Abashidze and G. Jokhadze).....	23
Notes and comments (M. Abashidze, G. Jokhadze) .....	46
Photocopy of Marjory Wardrop's manuscript .....	66



მარჯორი და ოლივერ უორდროპები. 1889 წ.



## უორდროპები და საქართველო

“ღმერთმა მოგცეს გამარჯვება, გმირო საქართველო!”

*ოლივერ უორდროპი, “საქართველოს სამეფო”*



რიტანულ-ქართული ურთიერთობის საუკეთესო ნიმუშია გამოჩენილი ბრიტანელი დიპლომატის, მწერლის, მთარგმნელისა და საზოგადო მოღვაწის ოლივერ უორდროპისა და მისი დის, მთარგმნელისა და საზოგადო მოღვაწის მარჯორი უორდროპის მოღვაწეობა. და-ძმა საქართველოს მეორე სამშობლოდ მიიჩნევადა. უორდროპების სახელი ფართოდაა ცნობილი ქართველი საზოგადოებისათვის. დიდია მათი დამსახურება საქართველოს ისტორიისა და კულტურის პოპულარიზაციის საქმეში.

უორდროპებმა თავიანთი მოღვაწეობა საქართველოს ისტორიისა და კულტურის მემკვიდრეობის შესწავლას მიუძღვნეს და ევროპულ სამეცნიერო მიმოქცევაში ჩართეს ქართული მწერლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლები.

ოლივერ და მარჯორი უორდროპები იზრდებოდნენ ლონდონში, ტრადიციულ ინგლისურ არისტოკრატიულ ოჯახში, რომელშიც ღვთის სიყვარული და პატივისცემა სუფევდა. მშობლები – თომას კოლდუელ უორდროპი და მარჯორი კამერონ სკოტი სიტბოს და ყურადღებას არ აკლებდნენ შვილებს. ოლივერი დაიბადა 1864 წელს. ხუთი წლის ასაკში გაგზავნეს შოტლანდიაში, რათა ეროვნული სულისკვეთებით აღზრდილიყო. ლონდონის სკოლის დამთავრების შემდეგ ოლივერი სწავლობდა სორბონის, დისენისა და ოქსფორდის უნივერსიტეტებში, სადაც მისი მასწავლებლები იყვნენ ცნობილი სლავისტები – პროფესორი ჯ. ბრაისი და უ. მორ-

ფილი<sup>1</sup>, პოლიგლოტი და საღვთისმეტყველო ლიტერატურის საუკეთესო მცოდნე სოლომონ ს. მოლანი<sup>2</sup>. ოლივერი გამოირჩეოდა თავისი განსწავლულობით, კეთილგონიერებით და დახვეწილობით. მას მთელი ოჯახი ეთაყვანებოდა, ხოლო უმცროსი და – მარჯორისათვის ოლივერი ნამდვილი კერპი იყო.

მარჯორი დაიბადა 1869 წელს ლონდონში. სწავლობდა ბიჩი ლეიდის კოლეჯში (Beachey Ladies' College), ისტბურნში, სადაც დაეუფლა ფრანგულ, გერმანულ და ლათინურ ენებს. შემდეგ ოჯახი ლონდონში დაბრუნდა და მარჯორიც კოედ ბელში (Miss Amos' school, Coed Bell) განაგრძობს სწავლას. ზემოდასახელებულ ენებთან ერთად მარჯორი აგრეთვე კარგად ფლობდა რუსულს, რუმინულს და ქართულს, კითხულობდა და თარგმნიდა ხუცურიდან<sup>3</sup>. საქართველოს ეცნობოდა ყ. ბ. ტავერნიეს, ყ. შარდენის, პ. დე ლა ვალეს, ე. გიბონის, ჯ. ბაირონის, ჯ. პერის და სხვათა ნიგნებით. საქართველოთი მარჯორის დაინტერესებასა და მის მიერ ქართული ენის შესწავლაში დიდი როლი ითამაშა ოლივერმა, რომელიც ყველანაირი ინფორმაციით უზრუნველყოფდა დას. მარჯორი ქართულს მ. მაჯოს და მ. ბროსეს სახელმძღვანელოებით სწავლობდა. პირველი ნიგნი, რომელიც ქართულად წაიკითხა, სახარება იყო. ქართული ენის დახვეწაში

---

1 უ. მორფილმა 1888 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი "ქართული ენა და ლიტერატურა", რაც ქართული ლიტერატურის სრული მიმოხილვის პირველი ცდა გახლდათ (The Academy, 21 July 1888, XXXIV 39-40).

2 ს.ს. მოლანმა ინგლისურად თარგმნა, ვრცელი კომენტარი დაურთო და გამოაქვეყნა პ. იოსელიანის "ქართული ეკლესიის ისტორია". ამ ნიგნით ინგლისურენოვანი სამყარო დღესაც ეცნობა ქართული ეკლესიის ისტორიას. მოლანსვე ეკუთვნის გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებების თარგმანი.

3 მარჯორის მიერ გადაწერილი ძველი ქართული ლოცვები და გალობანი ინახება ბოდლის ბიბლიოთეკაში.

მას ეხმარებოდნენ იმხანად ლონდონში მყოფი "ივერიის" კორესპონდენტი ვ. ჩერქეზიშვილი, სანკტ-პეტერბურგში კი ა. ცაგარელი.

ოლივერ უორდროპი სწავლის პერიოდში ბევრს მოგზაურობდა, როგორც ეს მიღებული იყო ინგლისურ არისტოკრატიულ ოჯახებში, და ასე ეცნობოდა ქვეყნებს. თავისი დიდი მოგზაურობა მან იტალიით დაიწყო 1886 წელს. სამი თვე დაჰყო რომის უნივერსიტეტში, შემდეგ ეწვია ეგვიპტეს, სირიას, პალესტინასა და თურქეთს. აღსანიშნავია, რომ ოლივერ უორდროპმა შოთა რუსთაველის შესახებ პირველად 1887 წლის 19 თებერვალს, პალესტინაში მოგზაურობისას შეიტყო, როცა ჯვრის მონასტერში მისი ფრესკა ნახა. შეიძლება ითქვას, რომ აქედან იწყება მისი და მისი ოჯახის დაინტერესება რუსთველითა და მისი პოემით, რომლის შესწავლას, თარგმნასა და პოპულარიზებას მათ დიდი დრო და ენერგია მოახმარეს. 1887 წლის აპრილში ოლივერი საქართველოს ესტუმრა: "მომეწონა რომი, მაგრამ აღფრთოვანებული ვარ საქართველოთი, ყველაზე ლამაზი ქვეყნით", – სწერს ოლივერი თავის მშობლებს. უორდროპებს საქართველოთი აღფრთოვანება სიცოცხლის ბოლომდე არ განელეზბიათ.

ოლივერი აგროვებდა მასალას საქართველოს შესახებ, იწერდა ქართულ ზღაპრებს, ანდაზებს, აგრეთვე ქართული ლეგენდების (მყინვარწვერზე, თამარ მეფეზე, შოთა რუსთაველზე და სხვ.) უცნობ ვარიანტებს, ხვდებოდა ქართული ინტელიგენციის წამომადგენლებს და თავის შთაბეჭდილებებს საგანგებოდ იწერდა; იგი დაუშვებოდა ი. ჭავჭავაძეს, ა. ნერეთელს, ი. მაჩაბელს, გაბრიელ ეპისკოპოსს<sup>4</sup> და სხვ., რუსეთში ყოფნისას კი – ა. ცაგარელსა და ა. ხახანაშვილს. ოლივერს დიდი მეგობრობა აკავშირებდა ქარ-

4 გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ ნაჩუქარ წმ. ნინოს ხატს მარჯორი ყოველთვის თან ატარებდა.



თველი საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლებთან – ბაგრატიონებთან, ორბელიანებთან, ვაჩნაძეებთან, ანდრონიკაშვილებთან, გელოვანებთან, ჩერქეზიშვილებთან, თუმანიშვილებთან და სხვ. ამ შეხვედრებმა ათქმევინა ოლივერ უორდროპს, რომ “საქართველოს უმთავრესი მიმზიდველობა მის ხალხშია. ქართველები მარტო შესახედავად კი არ არიან მშვენიერი და მომხიბლავნი – ეს ქეშმარიტად საყვარელი ხალხია – მხიარული, გულღია, ხელგაშლილი, პატიოსანი და უმნიკვლო”.

საქართველოში მოძიებული მასალა აისახა ოლივერის ნიგნში “საქართველოს სამეფო”, რომლის ქვესათაური იყო “მოგზაურობა ქალების, ღვინისა და სიმღერის ქვეყანაში”. ნიგნის რედაქტორი გახლდათ ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი უ. მორფილი. ეს ნიგნი ო. უორდროპმა საგანგებოდ მიუძღვნა ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორ ლორდ ჯ. ბრაისს, ავტორს ნაშრომისა “ამიერკავკასია და არარატი” (გამოვიდა 1877 წელს, ლონდონში), რომელშიც, ოლივერის აზრით, საქართველო სათანადოდ არ იყო შეფასებული. “საქართველოს სამეფოს” ავტორი აღნიშნავს, რომ “საქართველო პრაქტიკულად უცნობია ბრიტანელი საზოგადოებისათვის. საქართველოს წარსული კი ისეთია, რომ შეუძლია, თვით რომსა და საბერძნეთს დიდება შემატოს. ქვეყანა სახელგანთქმულია თავისი მშვენიერი ქალებით, მაგრამ ნაკლებადაა ცნობილი ის ფაქტი, რომ ქართველი ერი საუკუნეების განმავლობაში ინარჩუნებდა თვითმყოფადობას და, მაჰმადიანი მტრებით გარშემორტყმული, მარტო იბრძოდა ქრისტიანობის დასაცავად”. ის ხაზს უსვამს, რომ ქრისტიანულ სამყაროს გარკვეული მორალური ვალდებულება ეკისრება ამ ქრისტიანი ერის წინაშე. “საქართველოს სამეფო” გამოვიდა ლონდონში, 1886 წელს. ნიგნი შესანიშნავად იყო გაფორმებული, ყდას და სატიტულო გვერდს ამშვენებდა ბაგრატიონთა გერბი, საქართველოს ფერადი რუკა, ქართუ-

ლი მხედრული ანბანი. წიგნში საინტერესოდ იყო წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალა: საქართველოს ხედები, საქართველ ისტორიულ პირთა პორტრეტები, წიგნს ერთვოდა საქართველოს ისტორიის, ენისა და ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა, ვრცელი ბიბლიოგრაფია და სხვ. „საქართველოს სამეფო“ მალე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. კვლევის სიღრმითა და პრობლემის მნიშვნელობით ნაშრომმა ავტორს დიდი წარმატება მოუტანა. წიგნს დადებითად გამოეხმაურა ლონდონის ყველაზე პრესტიჟული ჟურნალი „Athenaeum“.

1892 წელს ოლივერ უორდროპი დაინიშნა ბრიტანეთის ელჩის პირად მდივნად და კონსულად სანკტ-პეტერბურგში. მას თან მარჯორი ახლდა, რომელიც ოლივერს დიპლომატიური მისიის შესრულებაში ეხმარებოდა.

ო. უორდროპმა შოთა რუსთაველის პოემით დააინტერესა ცნობილი რუსი პოეტი და მთარგმნელი კ. ბალმონტი, რომელმაც „ვეფხისტყაოსანი“ რუსულად თარგმნა და გამოსცა.

უორდროპები ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის შესწავლაზე მუშაობდნენ, რადგან სწორედ ლიტერატურა მიაჩნდათ ერის სულიერების გამოქხატველად.

ნიშანდობლივია, რომ მარჯორი და ოლივერ უორდროპები ძირითადად ქართულ ლიტერატურას თარგმნიდნენ. სწორედ მათი შემწეობით ეზიარა ევროპა და ინგლისურენოვანი სამყარო ქართულ კულტურასა და ისტორიას.

1894 წელს ლონდონში გამოვიდა ოლივერ უორდროპისეული ინგლისური თარგმანი კომენტარებით სულხან-საბა ორბელიანის წიგნისა „სიბრძნე სიცრუისა“<sup>5</sup>, რომელზეც ერთი ინგლისური ჟურნალი წერდა, ამ წიგნს „ლიტერატურის მოყვარულნი იტაცებენო“. იმავე წელს გამოდის „ქართული ხალხური ზღაპრების“ მარჯორი უორდროპისეული

5 S.S. Orbeliani. The Book of Wisdom and Lies. A Georgian story Book of the 18<sup>th</sup> century, Kelmscott Press, 1894.

თარგმანი, რომელსაც საფუძვლად დაედო ლ. აღნიაშვილის მიერ შეკრებილი და გამოცემული „ხალხური ზღაპრები“ (ტფ. 1891წ.), პეტერბურგში გამოცემული ა. ცაგარლის *Мингрельские этюды* (1880 წ.) და *”Грузинские народные сказки”* (ანუტმას გამოცემა, 1884 წ.), და ასევე – გურიაში ანა ბეჟანის ასულ მგელაძისაგან ჩანერილი „ქართული ზღაპრები“, რომელიც ანა ლორთქიფანიძეს (ილია ჭყონიას მეუღლე) 1895 წელს, ქუთაისში მყოფი მარჯორისათვის უჩუქებია. ინგლისურ პრესას არც ეს მოვლენა გამორჩენია: „მარჯორი



სხედან: მირიანი (ილია ჭყონიას მამა, ანეტა (ლორთქიფანიძე), ილიას მეუღლე დისშვილთან ერთად.  
 დგანან: ვინმე ვარია, ოლივერ უორდროპი და ილია ჭყონია მარჯორი უორდროპის ფოტო.

უორდროპს ქართულ საერო სიტყვიერებაში ძვირფასი საუ-  
ნჯე უპოვნია და თავის ნიგნში მოუქცევია, რაც ერთადერთი  
ახალი ამბავია ინგლისელი მკითხველისათვის“. მარჯორიმ  
ილია ჭავჭავაძეს გაუგზავნა ქართულად დაწერილი წერი-  
ლი, რომელშიც სთხოვდა მისი “განდეგილის” ინგლისურად  
თარგმნის ნებართვას. ეს წერილი ილიამ გამოაქვეყნა “ივე-  
რიაში”, როგორც ნიმუში ქართული საუკეთესო პროზაული  
სტილისა. “განდეგილის” მ. უორდროპისეული თარგმანი  
1895 წელს ლონდონში დაიბეჭდა. წინასიტყვაობაში მარჯო-  
რი აღნიშნავდა: „საქართველო ნამდვილად დიდი ყურადღე-  
ბის ღირსია. ბუნების მიერ განსაკუთრებული ნიჭით უხვად  
დაჯილდოებულმა ქართველმა ხალხმა შეითვისა აღმოსა-  
ვლური და დასავლური კულტურა და მიუხედავად ომებისა  
და ძნელბედობისა, ჯერ კიდევ ადრეულ წლებში მიაღწია  
სრულყოფილებას განათლებაში“ (საკუთარი ჩანაწერების  
გამოცემა მარჯორიმ ვერ მოასწრო. ასლი, რომლის დედანი  
ბოდლის ბიბლიოთეკაში ინახება, წინო უორდროპმა გადმო-  
გვცა, მ.ა.).

მარჯორი საქართველოს პირველად 1894<sup>6</sup> წლის დეკემ-  
ბერში ეწვია, 1896 წელს კი დედასთან ერთად ჩამოვიდა.

უორდროპებმა იმოგზაურეს იმერეთში – “რომანტიკულ  
ქვეყანაში”, სადაც მათ ილია ჭყონიას ოჯახი მასპინძლობდა,

---

6 1894 წ. 27 ოქტომბერს მარჯორი წერილს უგზავნის  
საქართველოში მყოფ ოლივერს: “...ჩემი ქართული ბიბლიოთეკა  
ივსება! ჩემი მუშაობა კი უფრო შინაარსიანი გახდება, თუ  
საქართველოში ჩამოვალ... არ ვიცი, რატომ არ შემიძლია, საქარ-  
თველოს გარდა სხვა რამეზე ვიფიქრო და ვილაპარაკო. მიხარია,  
რომ შენ მანდ იმყოფები, მაგრამ, ოჰ, ნეტავ მეც ვიყო შენთან  
ერთად! ახლა ჩემი ორი სიყვარული ერთმანეთის გვერდითაა:  
შენ (მარჯორი იყენებს გამოთქმას: Dearest, როგორც ის ძმას  
მიმართავდა, მ.ა.) და საქართველო!”. ეს ბარათი სხვა წერილებთან  
ერთად ინახებოდა წინო უორდროპის პირად არქივში 2004 წელს  
(მ. ა.).

გურიაში კი მათი მეგზურნი და მასპინძელნი იყვნენ თავადების ტ. გურიელისა და დ. მაჭუტაძის ოჯახები (დ. მაჭუტაძის მეუღლე – ლევ ტოლსტოის შვილების ყოფილი გუვერნანტი – ეროვნებით ინგლისელი გახლდათ). აღფრთოვანებული მარჯორი წერდა: “გურულების დახვეწილი ნაკვეთები გასხივოსნებულია ისეთი გამომეტყველებით, რომელშიც ინტელექტი და დაუცხრომელი სული ჩანს”; მარჯორი უორდროპი მოიხიბლა აღმოსავლეთ საქართველოთი, განსაკუთრებით კი – მცხეთით, თბილისითა და თბილისელებით. მარჯორი ხშირად სტუმრობდა აკაკი წერეთელს და მეგობრობდა მის ცოლთან (წერილები ინახება ბოდლის ბიბლიოთეკაში), მან თარგმნა კიდევ მისი ნაწარმოებები. მარჯორის საქართველოში ნათლულები ჰყოლია – ერთ-ერთი ელენე როსტომაშვილი გახლდათ, რომლის ოჯახს ბარათებს სწერდა და საჩუქრებსაც უგზავნიდა. მარჯორი ქართველ, კერძოდ, ხიდისთაველ უდედო ბიჭუნას, ალექსისაც შესწევია, ლონდონშიც მიუღია... გაურკვეველია, რა ბედი ეწია ამ ბიჭს მარჯორის გარდაცვალების შემდეგ.

უორდროპების ნაყოფიერი მოღვაწეობის შედეგი იყო, რომ ინგლისელი არმენოლოგი და თეოლოგი ფ. კ. კონიბირი (1856-1924) საქართველოთი და ქართული ლიტერატურით დაინტერესდა. 1900 წელს გამოიცა “წმინდა ნინოს ცხოვრების” უორდროპისეული ინგლისური თარგმანი, რომელსაც ფ. კ. კონიბირმა სპეციალური გამოკვლევა დაურთო. კონიბირმა 1896 წელს ლონდონში გამოაქვეყნა ნაშრომი „ბარლამისა და იოსაფატის ლეგენდები ძველ ქართულ და სომხურ ლიტერატურაში“.

“წმინდა ნინოს ცხოვრების” თარგმანზე მუშაობის დროს უორდროპები სარგებლობდნენ მ. საბინინის გამოცემით “საქართველოს სამოთხე” (1882წ), რუფინუსის “საეკლესიო ისტორიით”, ე. თაყაიშვილის წიგნით “Три исторические хроники” (1890), მ. ხორენაცის ნაშრომის სომხური და ქართული

ვერსიებით. ფ. კონიბირთან ერთად ოლივერმა ინგლისურად გამოსცა ა. ცაგარლის მიერ მომზადებული იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართული ხელნაწერების კატალოგი (Journal of Biblical Literature, Boston, 1894). ო. უორდროპმა ინგლისურად თარგმნა და გამოსცა ა. ცაგარლის მიერ მომზადებული ათონის მთის მონასტრის ქართული ხელნაწერები (Journal of Theological Studies, XII, 1911). ამ კატალოგებით დაინტერესდა ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი რ. ბლეიკი, რომელმაც მოგვიანებით ქართული ხელნაწერების უფრო სრული და აკურატული აღწერილობა დაბეჭდა და დასავლეთს ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა გააცნო.

1909 წელს ინგლისურ ჟურნალში "The Ring of Bells" მ. უორდროპმა გამოაქვეყნა სპეციალური წერილი "Those evening bells, an echo from Georgia", რომელშიც აღნიშნავდა, რომ ინგლისელების საყვარელი სიმღერა "სალამოს ზარების" ავტორი ქართველია<sup>7</sup>.

ოლივერის დიპლომატიური მოღვაწეობის პერიოდში – რუსეთსა თუ ბალკანეთში, ჰაიტიზე, რუმინეთსა თუ ინგლისში – უორდროპები იძენდნენ საქართველოსთან დაკავშირებულ ლიტერატურას. უორდროპების ძალისხმევით შეიქმნა ყველაზე მდიდარი ქართველოლოგიური ბიბლიოთეკა ევროპაში. მარჯორის გარდაცვალების შემდეგ (1909 წ. ბუქარესტი) ოლივერმა მიატოვა დიპლომატიური სამსახური, დაბრუნდა ლონდონში, გააგრძელა ქართული წიგნე-

7 მას მხედველობაში ჰქონდა გიორგი მთაწმინდელის მიერ დანერილი და მრავალ ენაზე თარგმნილი საგალობელი „სალამოს ზარები“. ცნობილია, რომ რუსმა პოეტმა და მთარგმნელმა ი. კოზლოვმა ეს ტექსტი ირლანდიელი პოეტის - ტ. მურის ორიგინალურ ლექსად მიიჩნია, 1827 წელს რუსულად თარგმნა, რის შედეგადაც რუსეთში გავრცელდა და სიმღერადაც იქცა. იმის თაობაზე, რომ „სალამოს ზარები“ მართლაც გიორგი მთაწმინდელს (XI ს.) ეკუთვნის, წერდნენ ა. ხახანაშვილი და ა. კალინოვსკი.



ბისა და ხელნაწერების შექმნა და შევსება, შემდგომში კი ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლის ბიბლიოთეკას გადასაცა<sup>8</sup>. ოლივერ უორდროპმა 1909 წელს ოქსფორდის უნივერსიტეტში მარჯორის საქველმოქმედო ფონდი დაარსა. ფონდის შექმნის მიზანი ქართული ენის კათედრის დაფუძნება და ქართველოლოგიური კვლევა-ძიების ხელშეწყობა გახლდათ. ფონდმა 1911 წელს გამოსცა მარჯორის მეგობრის, ეკატერინე ჩერქეზიშვილის მიერ მომზადებული "ქართულ-ინგლისური ლექსიკონი" და ოლივერ უორდროპის მიერ მომზადებული "სვანური ენის ლექსიკონი". ოლივერმა 1912 წელს სამეფო აზიურ საზოგადოებასთან ერთად გამოსცა "ვეფხისტყაოსნის" ინგლისური (არასრული) თარგმანი<sup>9</sup>, რომელზე მუშაობასაც მარჯორი უორდროპი ჯერ კიდევ ლონდონში შეუდგა და რუსეთში განაგრძო, სადაც დახმარებას უწევდა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ა. ცაგარელი. ამისათვის მარჯორიმ საგანგებოდ შეადგინა ქართულ-ინგლისური ლექსიკონი. "ვეფხისტყაოსნის" ინგლისურ ვერსიას ოლივერმა წინასიტყვაობა დაურთო. ოლივერ უორდროპს ეკუთვნის ასევე გიორგი ბრწყინვალის "ძეგლისდების" (1911 წელს, თბილისში, ოლივერ უორდროპმა შეიძინა ამ ტექსტის იასე დეკანოზიშვილის მიერ 1750 წელს გადანერილი ხელნაწერი, დედნად გამოიყენა, თარგმნა და 1914 წელს სამეფო აზიური საზოგადოების ჟურნალში დაბეჭდა, მ.ა.), "ვისრამიანის" და "წმ. იაკობის ცხოვრების" ინგლისური პუბლიკაციები. უორდროპთა დამსახურებაა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის თაობაზე პეტიციის შედგენა (1905წ.), ნაშრომი საქართველოს ეკლესიის ისტო-

8 ბოდლის ბიბლიოთეკაში უორდროპების კოლექციაში დაცულია 1454 ერთეული ქართული წიგნი და 74 ხელნაწერი, რომელთაგან უძველესი VIII საუკუნით თარიღდება.

9 *The Man in the Panther's Skin. A Romantic Epic by Shota Rustaveli. A close rendering from the Georgian attempted by Marjory Scott Wardrop. London, 1912*

რის შესახებ და სხვ. ბოდლის ბიბლიოთეკაში დაცულია უორდროპების მიერ მომზადებული მასალები, რომელთა შორისაა "მგზავრის წერილების", შ. დადიანის მოთხრობა „აბრსკილის“ (ჩაინერა ნ. ჯანაშიამ), გ. ორბელიანის ლექსების თარგმანები და სხვ. ოლივერმა შექმნა საპროტესტო კომიტეტი კაზაკთა რეპრესიებისაგან ქართველი გლეხობის და შრომელი ხალხის დასაცავად და სხვ. 1918 წ. ოლივერისა და ა. გუგუშვილის ინიციატივითა და სერ დ. როსის თავმჯდომარეობით ინგლის-საქართველოს საზოგადოება შეიქმნა. 1919 წელს ოლივერ უორდროპი დაინიშნა ამიერკავკასიაში ბრიტანეთის უზენაეს რწმუნებულად. ის ცდილობდა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ლორდ კერზონის დაინტერესებას საქართველოთი. ოლივერი იმედოვნებდა, რომ ბრიტანეთი მატერიალურ და ტექნიკურ დახმარებას გაუწევდა საქართველოს. ბრიტანეთში გაგზავნილ მოხსენებებში ის შეშფოთებას გამოხატავდა საქართველოში არსებული მდგომარეობის გამო და ცდილობდა ბრიტანეთის მთავრობა დაერწმუნებინა, რომ დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობას შავ და კასპიის ზღვებს შორის ინგლისელთათვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა; თუმცა, 1920 წელს ბრიტანეთმა პოლიტიკური კურსი შეიცვალა. პროტესტის ნიშნად, სერ ოლივერ უორდროპმა მიიღო გადანწყვეტილება, გადამდგარიყო.

1927 წ. ოლივერ უორდროპმა მიატოვა საჯარო სამსახური და მთელი თავისი დრო მარჯორი უორდროპის ფონდს მიუძღვნა, რომელიც უამრავ სასიკეთო საქმეს აკეთებდა. ფონდი მატერიალურად ეხმარებოდა ინგლისში მყოფ ქართველ სტუდენტებს, რომელთა შორის მიხაკო წერეთელიც ყოფილა. ოლივერი განაგრძობდა ქართული წიგნებისა და ხელნაწერების შექმნას ოქსფორდის უნივერსიტეტის, ბრიტანეთის მუზეუმისა და ლონდონის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტისათვის. ცნობილ ინგლისელ ისტორიკოს




უ. ალენთან ერთად ოლივერმა ინგლისში "საქართველოს საისტორიო საზოგადოება" დაარსა (1930 წ.) და ჟურნალი "Georgica" გამოსცა. ო. უორდროპი მატერიალურად ეხმარებოდა კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტს თბილისში (დაარსდა 1917 წელს). მარჯორი უორდროპის ფონდი ხელს უწყობდა ქართველოლოგიურ კვლევა-ძიებას კემბრიჯის უნივერსიტეტში, აფინანსებდა ცნობილი მეცნიერის, რ. სტივენსონის ქართველოლოგიურ კვლევას, საჯარო ლექციების წასაკითხად ინვესტა ცნობილ ქართველოლოგებს. მაგ; "ქართული საღვთისმეტყველო ლიტერატურის კურსის" წასაკითხად მიიწვია ცნობილი მეცნიერი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი რ. ბლეიკი; ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორმა, მამა გრიგოლ ფერაძემ ლექცია მოუძღვნა ქართულ საეკლესიო ლიტერატურასა და ბიბლიის ძველ ქართულ თარგმანებს, ე. ჩერქეზიშვილმა კი საქართველოს ისტორია და კულტურა მიმოიხილა.

ოლივერმა ე. ჩერქეზიშვილთან ერთად მოამზადა ბრიტანეთში დაცული ქართული კატალოგი. ოლივერ უორდროპის გარდაცვალების შემდეგ (1948 წ.) ფონდმა გამოსცა ჯ. ბარეტის მიერ მომზადებული ინგლისში დაცული ქართული წიგნებისა და ხელნაწერების კატალოგი. ფონდი დღესაც ნაყოფიერ მუშაობას ეწევა. ოლივერის სიყვარული საქართველოსადმი მისი ოჯახის წევრებმაც გაიზიარეს. ოლივერის მეუღლის, მარგარეტ კოლეტ – უორდროპის, მათი შვილების – ფარნავაზის, ანდროსა და ნინოს<sup>10</sup> კარი ყოველთვის ღია იყო ლონდონში ჩასული ქართველებისათვის. სერ ოლივერ უორდროპს სჯეროდა, რომ საქართველო დაიბრუნ-

10 2004 წ. ნინოს სახლში, პინლიში (ოქსფორდის ახლოს) ინახებოდა უამრავი ქართული წიგნი, ქართული წიგნები და სუვენირები და ოჯახის პირადი არქივის ნაწილი, ასევე ხატები – წმ. თამარისა და წმ. ნინოსი; შესაძლოა, ეს ის ხატია, რომელიც გაბრიელ ეპისკოპოსმა მარჯორის აჩუქა.



ნინო უორდროპი მედეა აბაშიძესთან ერთად ჰინლიში (2004 წ.)



გიორგი XII-ის ჯვარი ნინო უორდროპის სახლში

ნებდა დაკარგულ დამოუკიდებლობას და სურდა, დამოუკიდებელ საქართველოში ბრიტანეთის წარმომადგენლად დაბრუნებულიყო. მას სწამდა «მცირერიცხოვანი, მამაცი, სულით უტეხი, დახვენილი და ნიჭიერი ერის გაბრწყინებისა», საქართველოს ბრწყინვალე მომავლისა. მაღლიერი ქართველი ხალხის ოლივერ და მარჯორი უორდროპებისადმი პატივისცემის ერთ-ერთი გამოხატულება გახლდათ გიორგი XII-ის ოქროს სამეფო ჯვარი ყელსაბამითურთ, რომლითაც ქართველ ქალთა საზოგადოებამ ოლივერ უორდროპის ქალიშვილ ნინოს ნინობა მიულოცა<sup>11</sup>, ეს ქართული რელიკვია გადაურჩა ჟამთა სვლას და ამჟამად ბრიტანეთის მუზეუმის საცავში ინახება.

ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ნინო უორდროპი აღნიშნავდა, რომ ეს იყო "საჩუქარი ქართველებისა უორდროპების დიდი ღვანლის დასაფასებლად, რომელიც მათ გასწიეს პირველ რიგში, ბრიტანელი, და, ზოგადად, ევროპელი საზოგადოებისათვის საქართველოს უნიკალური კულტურისა და ცივილიზაციის გასაცნობად".

უორდროპებმა სამუდამოდ დაიმკვიდრეს საპატიო ადგილი ქართველი ხალხის მეხსიერებაში.

---

11 "1920 წლის 14 იანვარს შესდგა ქალთა ჯგუფი, რომელმაც გამოთქვა სურვილი, ოლივერ უორდროპისადმი მაღლიერების ნიშნად, 14 იანვარს, ნინობას, ქართველ ქალთა სახელით ოლივერ უორდროპის ასულ ნინოსათვის დღესასწაული მიელოცა და არანაკლებ 130 ათასი მანეთის ღირებულების ქართული ძვირფასი ჯვარი გადაეცა". ამ დოკუმენტს ქართველ ქალთა ჯგუფის სახელით ხელს აწერენ ცნობილი ქართველი ბანოვანები — ელისაბედ ორბელიანი, პოეტი და შთარგმნელი, ერეკლე II-ს შთამომავალი, ბარბარე ყიფიანი, თამარ გელოვანი და სხვ. ქართველ ქალთა ჯგუფმა ზემოთ დასახელებული თანხა შეაგროვა, ჯვარი შეისყიდა და ოლივერს გადასცა (დოკუმენტი ინახება საქართველოს ისტორიულ არქივში).

## მარჯორი უორდროვი

### მოგზაურობა საქართველოში: ჩანაწერები

1894 წლის დეკემბრის შუა რიცხვები იდგა. მეცამეტე დღეს ჩვენი მოგზაურობისა, რომელიც მარსელიდან დაიწყო, გავილვიძე და აღმოვაჩინე, რომ ჩვენს გემს ბათუმის ნავსადგურში ჩაეშვა ლუზა. ქალაქი სალამოს გრილი ბურუსით მოცულიყო. დროდადრო მშერას მთები გვტაცებდა. ასეთი იყო პირველი შთაბეჭდილება იმ ქვეყანაზე, რომელსაც ხშირად ვხატავდი წარმოსახვასა და ოცნებაში. მას შემდეგ, რაც საქართველოს უძველესი სამეფოთი, მისი ბუნებით, მამაცი და ლამაზი ხალხით, მდიდარი ლიტერატურით, სევდიანი და დიდებული ისტორიით დავინტერესდი, სულმოუთქმელად ველოდი ამ ადგილების მონახულებას, რომელთა შესახებ წიგნებიდან ვიცოდი და ხშირადაც მიფიქრია მათზე. მოუთმენლად ველოდი დღეს, როცა, შესაძლოა, შევხვედროდი იმ პოეტებს, რომელთა შემოქმედებამ ესოდენი სიამოვნება მომანიჭა. საქართველო ჩემთვის ზღაპრული ქვეყანაა და აქ ვიმყოფები. ჩვენ მისი ჯადოსნური საზღვრები გადავლახეთ. ბათუმში მხოლოდ ერთი ღამე



დავყავით, ქალაქში, რომელიც ყოველწლიურად ვითარდება და კომერციულ მნიშვნელობას იძენს, თუმცა აქ ცოტა რამაა ისეთი, რაც ტურისტს დააინტერესებს. აქ პირველად შევიგრძენით ქართველთა სტუმართმოყვარეობა, რომლითაც საქართველომ ასე გაითქვა სახელი. შევხვდით შესანიშნავ ადამიანებს, რომლებმაც ძალიან თბილად მიგვიღეს. მეორე დღით მატარებლით გავემგზავრეთ ტიფლისში. რამდენიმე მილით გავცდით შავ ზღვას და გურიამდე მივალწიეთ, სადაც ჩაის პლანტაციები ჯერ კიდევ შემორჩენილიყო სადგურის მიდამოებში. მე გამაოცა ნაციონალურ კოსტიუმებში გამოწყობილი ჩინელების ხილვამ, რომლებიც თვალწარმტაც გურულებს შერეოდნენ და აქ მოსულიყვნენ, რათა გამვლელი მატარებლისთვის შეეველოთ თვალი. მატარებელი ბათუმიდან ტიფლისში ზოზინით მიდიოდა. მაგრამ ტურისტისათვის ეს უფრო მისასალმებელი უნდა ყოფილიყო, ვიდრე – დასანანი, რადგან გეძლეოდა საშუალება, გენახა ლამაზი ბუნება, რომელიც თანდათანობით გეშლებოდა თვალწინ. ცა ნელნელა ინმინდებოდა და ჩვენს წინაშე ამ შესანიშნავი ქვეყნის ზღაპრული სურათი იხატებოდა. ამ მშვენიერების წარმოდგენა ნებისმიერს გაუჭირდებოდა. გორაკი გორაკს ცვლიდა. ირგვლივ უძველესი კოშკები და ციხე-სიმაგრეები ბატონობდნენ, რომელთა ნანგრევები გახსენებდათ უამრავ ლეგენდას გარდასულ დღეებზე; გმირების სისხლით შეფერილი გამჭვირვალე ნაკადულები; უსიერი ტყეები, რომელთა ნიაღში დევები ცხოვრობდნენ და გლეხები შიშით შიგ შესვლას ვერ ბედავდნენ; შორს, ჩრდილოეთით, ყინულოვანი კავკასიონი; მარადიული თოვლით დაფარული ზეცამდე აზიდული მწვერვალები; ჩვენ გვქონდა საშუალება, ყოველივე ეს მატარებლიდან დაგვენახა. ბუნებას მგონი დავინწყებოდა, რომ ზამთარი იდგა: ირგვლივ უხვად ყვავოდნენ მცენარეები. ნელინადის ყველა დრო ერთმანეთს შერწყმოდა და ნათელ პეიზაჟს ქმნიდა: გაზაფხული წარმოდგენილი იყო იებით

მაშინ, როცა ზაფხულს ხასხასა ფოთლები განასახიერებდა, ხეებს რომ ამშვენებდა; ისინი ცდილობდნენ შემოდგომის მკვეთრ ფერებთან შერკინებას, შორს კი მოჩანდა ყინულოვან მთათა მწვერვალები, რომლებსაც თითქოს უწესრიგობა შეჰქონდათ ამ მშვენიერებაში. დაახლოებით, საღამოს ათის ნახევარზე ჩავედით მცხეთაში – ძველ სატახტო ქალაქში, სადაც IV საუკუნეში წმინდა ნინომ ქრისტიანობა იქადაგა. მეფე მირიანი და მთელი საქართველო ამ სარწმუნოებაზე მოექცა, რომლის დასაცავადაც იბერიელები<sup>1</sup> ასე მამაცურად იბრძოდნენ. შემოგვეგებნენ დიდგვაროვანი ქართველები, რომლებიც ტიფლისისაკენ გაგვიძღვნენ. მათ შორის იყო დიდი პოეტი, თავადი ილია ჭავჭავაძე, მეუღლითა და დითურთ, ასევე – ეკატერინე გაბაშვილი, ცნობილი მწერალი ქალი. გზა



მცხეთიდან ტიფლისამდე მალე გავლიეთ და დაახლოებით თერთმეტის ნახევარზე ჩავედით კიდეც. მხოლოდ იმას ვწუხდით, რომ ეს სასიამოვნო მოგზაურობა დასრულდა. ტიფლისი, სადაც ჩვენ სამი კვირა დავეყავით, მომხიბლავი ქალაქია, რომელიც ერთდროულად აღმოსავლურიცაა და

დასავლურიც. ინგლისელი გაოცდება საუკეთესო ქართული სახლების ინტერიერის სიმდიდრითა და სინატიფით; მას გააკვირვებს მალაზიები გოლოვინსკის<sup>2</sup> პროსპექტზე, სადაც შეიძლება გადააწყდე პატარა რიჯენტ სთრითს<sup>3</sup>; მეორე მხრივ, ერთი საათის გატარება აღმოსავლურ ბაზარში შეგახვედრებთ შავგვრემან სპარსელებს, რომლებიც მუხლებგადაჯვარედინებული მოკალათებულან ხმაურიან გამვლელთა უკან.

ტიფლისის საუკეთესო ხედები წმ. დავითის მონასტრიდან, მთანმინდიდან და ბოტანიკური ბაღიდან იშლება. ამ უკანასკნელის სახელწოდებას ერთი საინტერესო ამბავი უკავშირდება: ქართველები ბაღს, რომელიც მეფეს ეკუთვნოდა, „ბატონის ბაღს“ ეძახდნენ. როცა რუსები შემოვიდნენ, ქართულის უცოდინრობის გამო, „ბოტანიჩესკი სად“ ანუ ბოტანიკური ბაღი უწოდეს<sup>4</sup>. დღეს იგი მართლაც ბოტანიკურ ბაღად ქცეულა. თვალწარმტაცი სანახავია ქართლის ველი მზის ჩასვლისას, და თვით დედაქალაქი, კლდეებს მკერდზე რომ მიჰყრდნობია; სახლების ბრტყელი სახურავები, ზღვაური მწვანით, ტერაკოტისფრითა და სხვადასხვა შეფერილობის ცისფრით რომ შეუღლებავთ, ძალიან



შთაბეჭდავად გამოიყურება. იქ დგას ციხე-სიმაგრე, „მშვიდი და მღვრიე მოლელავს მტკვარი“<sup>5</sup>, რომელიც მთების, ქალაქისა და დაბლობის გასწვრივ ჩამოედინება. რბილი, იდუმალი ვარდისფერი პეიზაჟს მომხიბლავ იერს ანიჭებს. ტიფლისში, ბევრ სხვა ღირსშესანიშნაობასთან ერთად, რამდენიმე ძველი ეკლესიაცაა. სიონის ტაძარი, 445 წლით რომ თარიღდება, მათ შორის უდიდესია. საკურთხევლის წინ ასვენია წმინდა ნინოს ჯვარი, რომელიც ვაზის ორი რტოსგანაა დამზადებული და წმინდანის თმითაა შეკრული<sup>6</sup>. ამ ჯვარს საქართველოში ყოველთვის წმინდა რელიკვიად მიიჩნევდნენ. მეტეხის სამრეკლო, ციხესთან ერთად, ასევე V საუკუნით თარიღდება. იქაა დაკრძალული წმინდა შუშანიკი, მონამებრივად აღსრულებული დედოფალი<sup>7</sup>. მუშტაიდი მიხეილის ქუჩის





ბოლოს, მტკვრის ნაპირზე მდებარე მშვენიერი ბაღია. 1889 წელს აქ გაიმართა კავკასიელთა გამოფენა. ძველი მშენობები მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის სკოლად გარდაქმნილა. აქვეა კარგად მოწყობილი მუზეუმიც<sup>8</sup>. ტიფლისში რამდენიმე თეატრია. ქალაქის მკვიდრნი, დანარჩენ ქართველებთან ერთად, მხიარულების მოყვარულები არიან. ქართულ თეატრს პიესებით აქაური ავტორები ამარაგებენ. იქ რამდენიმე ნიჭიერი მსახიობი თამაშობს<sup>9</sup>. აქ ბევრი მწერალი კაცია, და რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია აღმოსავლეთში, არიან მწერალი ქალებიც. მანდილოსნები იმთავითვე დიდი გავლენით სარგებლობდნენ ქართველებში, რაც, შესაძლოა, ადრეულ ხანაში მათ მიერ ქრისტიანობის მიღებამაც განაპირობა. როცა მამაკაცები ისლამის წინააღმდეგ იბრძოდნენ (ასეთ ომებში ქვეყანა ხშირად ებმებოდა ხოლმე), ქალები შინ რჩებოდნენ, შვილებს წერა-კითხვას ასწავლიდნენ და უხსოვარი დროიდან ჩვეულზე მეტად ძლიერი სქესის წარმომადგენლებად ყალიბდებოდნენ. ლიტერატურის ნიმუშთა უმრავლესობა ქალებმა გადაარჩინეს დავიწყებას. ისინი ითვისებდნენ თავიანთ უძველეს კლასიკას, ზოგ ნაწარმოებს ზეპირადაც კი სწავლობდნენ. ახლაც, სოფლად, ბევრი ქალბატონი ზამთრის საღამოებს შოთა რუსთაველის უმშვენიერესი ეპიკური პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად წარმოთქმაში ატარებს. ეს დიდებული პოემა სიყვარულსა და თავგადასავლებზე 6000-ზე მეტი პნკარისაგან შედგება. იგი აღსავსეა მშვენიერი პასაჟებით. ყველაზე გასაოცარი მისი დანერის თარიღია – როგორც ვიცით, იგი დანტეს დაბადებამდე გაცილებით ადრე შეიქმნა. თავის მხრივ, პოეტი ლაპარაკობს სქესთა თანასწორობაზე, მაგალითად, ყველაზე ხშირად ეს ციტატა მოჰყავთ: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“. თანამედროვე ქართველი ქალები ტრადიციებს აგრძელებენ: ტიფლისში შევხვდით გაზეთის რედაქტორ და რედაქციის თანამშრომელ ქალებს.



16756. Тифлиზ. Ворота сада Муншадля, 408.

და მომეჩვენა, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლებს მართლაც უფრო მეტი ენერჯია აქვთ, ვიდრე – მათ მეუღლეებს. მშვიდობიანი პროფესიები ერთადერთი როდია, სადაც ქართველმა ქალებმა წარმატებას მიაღწიეს: სწორედ აქ ცხოვრობდნენ მეომარი ამორძალები. დღესაც იხსენებენ საბრძოლო სულისკვეთებით აღსავსე საგმირო საქმეებს, რომლებიც წარმტაც დიდგვაროვან ბანოვანებს ჩაუდენიათ: თამარ და ქეთევან დედოფლებს, რომლებიც აბჯარასხმულნი თვითონ მიუძღოდნენ თავიანთ ლაშქარს სპარსელთა<sup>10</sup> წინააღმდეგ ომში. ტიფლისში სამი სასიამოვნო კვირის გატარების შემდეგ ქუთაისში, იმერეთის სატახტო ქალაქში<sup>11</sup>, ქართლიდან დასავლეთით მდებარე მხარეში გამგზავრება გადაწყვიტეთ. ტიფლისში ბევრი გვსმენოდა მის მშვენიერებაზე და ცხადია, მისი ნახვა გვსურდა. იმავე გზით ვიმოგზაურეთ, რომლითაც ტიფლისს ჩამოვედით, რიონთან მიახლოებისას ეტლები გამოვცვალეთ და დაახლოებით ოც წუთში ქუთაისში ჩავედით. სადგურზე ბევრი ხალხი დაგვხვდა.

ჩვენმა კეთილმა ტიფლისელმა მეგობრებმა დაიწყინეს, რომ ჩვენი ჩასვლის თაობაზე ქუთაისელთათვის ეცნობებინათ. ქართველებს უყვართ სტუმრები. სტუმართმოყვარეობა მათ დადებით თვისებათაგან უპირველესია. იმის გარდა, რომ სტუმრის მიმართ ბუნებრივად კეთილგანწყობილნი არიან, მათი განსაკუთრებული ინტერესი იმანაც გამოიწვია, რომ ქართული ენის შესწავლა გვსურდა და ინგლისიდან მათ სანახავად ჩამოვედით. მეგობრული მიღება და აღფრთოვანება, რომელსაც ყველგან გამოხატავდნენ, ბევრად აღემატებოდა იმ დახარჯულ საათებს, მათი ურთულესი ენისა და უჩვეულო ქართული ზმნის შესწავლაზე რომ დავხარჯეთ. ქუთაისში ჩვენს პატივსაცემად ბანკეტი გამართეს, და რადგან ქართული წვეულება რამდენადმე განსხვავდება დასავლური ლხინისაგან, აღვწერ მას:

ქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ გამოგზავნილი ეტლე-ბით წაგვიყვანეს ერთ ბორცვზე მდგარ სახლში, რომელმაც ჩვენს შესახვედრად მოსული 150 სტუმარიც დაატია.



წარდგენის ცერემონიის შემდეგ დარბაზში შევედით. მაგიდები მთელ სიგრძეზე განელაგებინათ. შუაში, მთავარ მაგიდასთან დავესხედით თავადაზნაურობის მარშალთან, ქალაქის თავთან, სხვა პატივსაცემ ადამიანებსა და მათ ცოლებთან ერთად. ლხინის დასაწყისში თამადა (ტოლუმბაში)<sup>12</sup> აირჩიეს, მან ჩვენი ჯანმრთელობისა შესვა და მჭევრმეტყველური სიტყვა წარმოთქვა. როცა ყველა ერთდროულად წამოდგა ფეხზე და სასმისები დასცალეს, მეორე ოთახში მყოფმა მომღერლებმა ნაციონალური ინსტრუმენტების თანხლებით სუფრული სიმღერა დააგუგუნეს: გაისმოდა „მრავალჟამიერ“, „ღმერთმა ინებოს“ და ასევე – საპასუხო „მადლობელი ვარ“<sup>13</sup>. ამ სიმღერის ბევრი ვერსია არსებობს, სულ ცოტა ასორმოცდაათი მაინც, ზოგი მათგანი ძალიან ძველია. დიდი პატივით შეისვა ყველა დამსწრის, ჩვენი ინგლისში დარჩენილი ნათესავებისა და მეგობრების სადღეგრძელოები. იოლად წარმოიდგენთ, რას ნიშნავს ამდენი ღვინის სმა ამას შეუჩვეველი ადამიანისათვის. თუმცა ქართველი თავაზიანი მასპინძელია და სტუმარს იმდენის დალევის უფლება აქვს, რამდენიც ესიამოვნება. იქ მყოფებმა ბევრი ქართული ჰანგი ააჟღერეს – ერთი ქალბატონი შესანიშნავად მღეროდა იავენანას. ორი თუ სამი საათის შემდეგ დარბაზი ნაციონალური ცეკვა „ლეკურის“<sup>14</sup> შესასრულებლად მოამზადეს. მოცეკვავეებს წრე შემოარტყეს და საკრავთა ხმას ტაში ააყოლეს. ცეკვავდა პატარა თამარი, ექვსიოდ წლის მშვენიერი შავთვალა გოგონა დედასთან, მდიდრულ აბრეშუმის კაბაში გამოწყობილ მომხიბლავ თავადის ქალთან ერთად. შემდეგ ჩერქეზული ჩოხით<sup>15</sup> შემოსილი მამაკაცი გრაციოზულად მიუახლოვდა ქალს და სათანადო ფესტივალის საცეკვაოდ გაიწვია. მცირე ხნის შემდეგ ქალი დათანხმდა, და მათ იქაურ სხვა საუკეთესო მოცეკვავეებთან ერთად უელევანტურეს მოძრაობათა მთელი სერია შეასრულეს. თეთრად შემოსილ, მშვიდად მონარნარე ქალს ცალი ხელი თავს ზემოთ მოერკალა, ცალი

ნინ გაეშვირა და გოგმანით გაურბოდა „მდევარს“. ზოგჯერ, როცა მამაკაცი გარს უვლიდა, ქალი გაუნძრევლად იდგა, ხანაც, თითქოს მამაკაცისაგან თავის დაღწევას ცდილობდა. როცა სახეს აბრუნებდა, კაცი უახლოვდებოდა და ის-ის იყო უნდა შეხებოდა, რომ ქალი კვლავ თავს არიდებდა.

რასაკვირველია, „ლეკური“ მოძრაობის მთელი პოეზიაა და მავანს ცეკვას იმ ხელოვნებად აღაქმევენებს, რომელიც დიდად განსხვავდება სამეჯლისო დარბაზში ვალსის მოუქნელი ბრუნვა-ტრიალის უკულმართობათაგან. როდესაც ერთი ნყვილი ილღებოდა, მის ადგილს მეორე იკავებდა. მთელი ამ დროის განმავლობაში იქ შეკრებილნი ტაშს უკრავდნენ. იმერეთში – რომანტიკულ ქვეყანაში ვიმყოფებით. ქუთაისი კოლხეთში მდებარე ანტიკური ხანის „კუტაიაა“, სადაც იაზონი ოქროს სანმისის მოსაპოვებლად ჩავიდა. კამკამა რიონის ნაპირებზე შეფენილ ამ მშვენიერ ქალებში, ანტიკურ ფაზისში მიაკვლია დიდი ხნის ნაოცნებარ საუნჯეს და უმშვენიერეს ჯადოქარ მედეას ყურში სიყვარულის ზღაპარი ჩასჩურჩულა. აი, იმ კლდეზე, იუპიტერის სასტიკი ბრძანების თანახმად, პრომეთეოსი „ღვთაებრივი ფრთებით მიაჯაჭვეს“. მსოფლიოში ცნობილი ბევრი ლეგენდა თვლემს გლეხების მესხიერებაში. ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ამირანის ამბავია, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა – კლასიკური თქმულება პრომეთეოსზე. სახელებს „მედეა“ და „იაზონი“ აქ კვლავაც არქმევენ. ამ საინტერესო ქვეყნის მკვიდრთა შორის შესაძლოა, ტელემაქეს, ონონასა და თვით ვენერასაც კი შეხვდეთ. ქუთაისი, ამ ასოციაციების გარეშეც, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ქალაქია მთელს კავკასიაში. შეუძლებელია მასზე უფრო შთამბეჭდავი მდებარეობის წარმოდგენა! ის რიონის დაბლობზე განფენილა, ყოველი მხრიდან კლდეები აკრავს... ქალაქთან ახლოსაა ბაგრატიის ტაძრის უძველესი ნანგრევები, მაშინ, როცა მოშორებით, ტყიან ბორცვებზე გელათის თეთრ მშვენიერ მონასტერს



დაინახავთ. ქუთაისში ზამთრობით უჩვეულოდ რბილი ჰავაა, ზაფხულობით კი გრილა. დრო აღარ დაგვიკარგავს და გელათის სანახავად წასვლა გადავწყვიტეთ. მეორე დილით ოთხცხენიანი ეტლით გავემგზავრეთ მონასტრისაკენ, რომელიც მეფე დავით განმაახლებელს აუგია XI საუკუნის ბოლოს<sup>16</sup>. მეტად ოღროჩოღრო და კლდოვან გზაზე, რიონის ნაპირებს რომ მიუყვება, ბევრი წარმტაცი ხედია. ციცაბო გორაკი სვენებ-სვენებით ავიარეთ და ბოლოს გელათის მონასტერსაც მივადექით. ბევრ ქართველ პოეტს შეუქია გელათი, და ეს მართლაც მშვენიერი ადგილია, ზურმუხტისფერი მდელოებითა და სურნელოვანი ყვავილებით შემკული. ჯერ კიდევ შემორჩენილია ადრეული ხანის შენობა, სადაც დავით მეფე განისვენებს. ეს გახლდათ გოლიათური სიმაღლისა და ძალ-ღონის მონარქი, რომელმაც ააგო ახალი და აღადგინა ძველი ძეგლები. არსებობს გადმოცემა, რომ დავითმა ერთი ლოდი თვითონვე მიიტანა მონასტრის ასაშენებლად. საფლავის უზარმაზარ ქვაზე ეს სიტყვებია ამოტვიფრული: „ერთხელ შვიდი მეფე მესტუმრა: თურქები, სპარსები, არაბები, რომლებიც ჩემი სამეფოდან განვდევნე“<sup>17</sup>. მისი შვილიშვილი იყო დიდებული დედოფალი თამარი<sup>18</sup>, რომლის ზეობა „ოქროს ხანის“ სახელითაა ცნობილი. ეს

მართლაც ოქროს ხანა გახლდათ საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურისათვის. ზოგი ვარაუდის თანახმად, თამარიც გელათშია დაკრძალული<sup>19</sup>. აქ ბევრი ძვირფასი და ძველი რელიკვიაა. მათ შორის ყოფილა VI საუკუნის ერთი ბერძნული ხელნაწერი...<sup>20</sup>. სამწუხაროდ, ეკლესია არაერთხელ გაუძარცვავთ რუსებს და ბევრი რამ სანკტ-პეტერბურგში გაუზიდავთ. შემორჩენილ სინძინდეთაგან აღსანიშნავია ხახულის ღვთისმშობლის ხატი<sup>21</sup>, რომელსაც ეს ლეგენდა უკავშირდება: როცა წმინდა ანდრია მოციქული ქრისტეს სიკვდილის შემდეგ პალესტინიდან კავკასიის მოსაქცევად მოდიოდა, მარიამმა სახეზე ქსოვილი მიიღო, რომელზეც მისი ნაკვთები აღიბეჭდა. ქსოვილი მოციქულს მისცა. ანდრია საქართველოში სწორედ იმ დროს ჩამოვიდა, როცა დედოფლის ძე კვდებოდა. მოციქულმა ქსოვილი შეახო ყმანვილს, რომელიც სასწრაფოდ გამოფხიზლდა და სიცოცხლეს დაუბრუნდა. ბევრი გაქრისტიანდა, თუმცა წარმართი მღვდლები მაინც დავობდნენ წმინდა ანდრიას ძალმოსილებაზე. სცადეს კიდევ მისი ძლიერების გამოცდა. მინდორში კარავი დადგეს, წმინდა ხატი მის ერთ მხარეს დააბრძანეს, მეორე კი წარმართული კერპებისაკენ მიმართეს. დილით კერპები გადაყირავებული დახვდათ, ღვთისმშობლის ხატი კი სწორედ იმ ადგილას ესვენა, სადაც დატოვეს. ეს სასწაული ბევრი ქართველის მოქცევის საფუძველი გახდა<sup>22</sup>. იმ ადგილას ქრისტიანული სამრეკლო ააგეს. მას შემდეგ, რაც სამრეკლო მუსლიმებმა დაანგრიეს, ხატი გადამალეს. ის ახლა გელათში ინახება. მდიდრულ ყუთში ასვენია და პატიოსანი ქვებითაა შემკული. მნიშვნელობა არა აქვს, მართალია თუ არა ლეგენდა: ხატი უდავოდ უძველესია და ის არაერთხელ მოუხსენიებიათ ძველი დროის მწერლებს. საკუთრივ, ტაძარი, ბიზანტიური ჯვრის ფორმისაა. გუმბათქვეშ არის შესანიშნავად შენახული მოზაიკა ღვთისმშობელი ქალწულისა, ჩვილით ხელში, მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა გამოსახულებებით, რომელიც



აღექსი კომუნოსმა უძღვნა მეფე დავით III განმანათლებელს<sup>23</sup>.  
 აქ ინახება დერბენდიდან ჩამოტანილი ერთ-ერთი ყველაზე  
 ძველი კარიბჭე, რომლის წარწერა მოგვითხრობს, რომ ის  
 1063 წელს დამზადდა. მეორე კარიბჭე ეკლესიის სახურავად  
 გამოიყენებოდა<sup>24</sup>. თუმცა იანვრის დასაწყისი იყო, ჩვენ ღია  
 ცისქვეშ, ფანჩატურში ვისაუზმეთ. ცაზე ერთი ღრუბელიც კი  
 არ ჩანდა. მართლაც, იმ ორი თვის განმავლობაში, რაც ჩვენ  
 ამ ქვეყანაში ვიმყოფებოდით, შუა ზამთარში ისეთი ჰავა იყო,  
 როგორც იტალიაში – მაისის თვეში. გელათიდან სამი მილის  
 მანძილზე მდებარეობს მონამეთას მონასტერი (წამებულთა  
 ადგილი), რომელიც XI საუკუნეში ააგო ბაგრატ დიდმა<sup>25</sup>.  
 მონასტერი გარესამყაროს ხიდის მეშვეობით უკავშირდება,  
 რომელსაც კოშკი იცავს. მდინარის ჰაერი კლდის გარშემო,  
 რომლის თავზეც მონამეთა წამომართულა, ნახევარკუნძულს  
 ქმნის. კლდე პირდაპირ ეშვება უსწრაფესი წყალნითელასკენ  
 (ე.წ. წითელი მდინარე, წითლად შეფერილი მინის გამო).  
 უფრო პირველქმნილი და ხელშეუხებელი ბუნების სურათის  
 წარმოდგენა შეუძლებელია! აქ არიან დაკრძალული წმინ-  
 დანები დავით და კონსტანტინე, ორი ქართველი მონამე. გად-  
 მოცემა გვიამბობს, რომ ისინი ჩააგდეს ამ მდინარეში,  
 რომელიც მათმა სისხლმა ჟოლოსფრად შელება. სიკვდილის  
 წინ ისინი ლოცულობდნენ, რათა მათი სხეულები განუხრ-  
 ნნელად დარჩენილიყვნენ და განკურნვის უნარი ჰქონოდათ.  
 ბევრი ლეგენდა არსებობს იმ სასწაულებზე, მათთან შე-  
 ხებისას რომ მომხდარა. სამწუხაროდ, მღვდელმსახურება  
 რუსულად ან სანახევროდ რუსულად უნდა ჩატარდეს. ქუ-  
 თაისში იმაზეც დიდად წუხდნენ, რომ ახალი ეპისკოპოსი  
 რუსი იქნება. იმერეთის ახლანდელი მღვდელმთავარი გაბრი-  
 ელი<sup>26</sup> მოხუცი ქალარა კაცია, მაგრამ მისი მადლმოსილი  
 ლოცვა ისეთი ძლიერია, მის ქვეყანას საფრთხე არ ეშუქრება.  
 მისი ქადაგებების ორტომეული, რომელიც გამოირჩევა ენის  
 სინამდისითა და დახვეწილობით, მსჯელობის სისადავითა და






კეთილშობილებით, ტიფლისში მრავალჯერ გამოიკაცა განსვენებულმა, ღირსმა ს.ს. მოლანმა მისი რამდენიმე ქადაგება ინგლისურად თარგმნა<sup>27</sup>. ვერასოდეს დავივიწყებ ჩვენს სტუმრობას ეპისკოპოს გაბრიელთან. ის თავის კაბინეტში იჯდა - სულისშემძვრელი იყო იმის ცქერა, ვინც ღირსეულად განვლო თავისი ცხოვრება. თმა თოვლივით თეთრი ჰქონდა. თვალეში ჭაბუკური ელვარება

ალარ ედგა, მაგრამ მის ლამაზ ნაკეთებში მშვიდ კმაყოფილებას ამოიკითხავდით: ასეთი გამომეტყველება აქვთ მათ, ვინც მთელი ცხოვრება სხვებს მიუძღვის წინ, ღმერთამდე რომ მიიყვანოს და მისი მიმდევრები გახადოს. მან აივანზე მიგვიღო და აღტაცებული მიგვითითებდა პეიზაჟის საუცხოო ადგილებზე. ეპისკოპოს გაბრიელის სახლი ბაგრატის ტაძრის თვალწარმტაცი ნანგრევებიდან სულ ერთი ხელის განვდენაზე იდგა. ტაძარი ბაგრატ IV-მ ააგო 1032 წელს, რომელიც თურქებმა დაანგრიეს 1690 წელს<sup>28</sup>. აქ ბევრი ქართული წარწერაა, რომელთა შორის ამოიკითხავთ: „ო, მეუფეო, ვინც ყველა მეფის ხელმწიფე ხარ, უფრო და უფრო აღამაღლე ბაგრატ კურაპალატი, მეფე აფხაზთა და ქართველთა, ასევე მამამისი, დედამისი, მეუღლე მისი, დედოფალი და ძე მისი, ამინ“. „უფლის შენევნით, დიდებულმან და ღვთაებრივმან ბაგრატ, მეფემან აფხაზთა და ქართველთა, აღაშენა წმიდა ადგილი ესე მოსახსენიებლად დედისა თვისისა, დედოფლისა გურანდუხტ“. „უფალო, შეიწყალე სული მაშენებლისა ამა ტაძრისა“<sup>29</sup>. ამ უკანასკნელ წარწერაში მოხსენიებული სახელი ერთადერთია, რაც კი ამ საოცარი ტაძრის მშენებლისაგან შემოგვრჩა. ტაძრის სტილი ქართულ-ბიზანტიურია. ინტერი-

ერში ბევრ ნაკვეთ ლოდს ნახავთ. ტაძრის გარშემო უძველესი  
გალავნის ფრაგმენტებია. მოშორებით მდებარე მრგვალი  
მინაყრილები აქ ციხე-სიმაგრის არსებობაზე მიგვითითებენ.  
დღევანდელი ქუთათური სიამაყით გიჩვენებს თავისი ქალაქის  
ყოფილ საზღვრებს, გადაჭიმულს ბაგრატის ტაძრიდან რიონის  
მარცხენა ნაპირზე მდებარე გორაკებამდე, სადაც ოდესღაც  
100 000 კაცს უცხოვრია, ახლა კი 20 000 მცხოვრები თუ  
იქნება. ქუთაისიდან წამოვედით და იქაურებს მრავალგზის  
დავპირდით, რომ კვლავაც ვეწვეოდით. შემდეგ ჩვენს კეთილ  
მასპინძელთან ერთად მოვიწახულებთ თავადის ასული მა-  
ჭუტაძე ნიგოეთში<sup>30</sup>. ეს ბანოვანი ინგლისელია და მთელს  
ქვეყანაში განთქმულია საკუთარი სათნოებით. იგი დიდად  
ზრუნავს მის მამულში მოსახლე გლეხობაზე. ავადმყოფობისა  
და გაჭირვების შემთხვევაში ყველა მას ეკითხება რჩევას და  
მისგან იღებს ნუგეშს. მისი შვილები საკმაოდ თავისუფლად  
ლაპარაკობენ როგორც ინგლისურად, ისე – ქართულად. თავ-  
ადის ასულმა მაჭუტაძემ და მისმა მეუღლემ კეთილად გვი-  
მასპინძლეს. ნიგოითიდან ცხენებით წავედით მთებში მდებ-  
არე ჯუმათის მონასტერში<sup>31</sup>, სადაც გურიის რამდენიმე  
მთავარია დაკრძალული. იანვრის დასაწყისი იყო, მაგრამ  
ყველგან ვხვდებოდით ხარისძირებით, ენძელებით, იებით,  
ფურისულებითა და სხვა ყვავილებით დაფარულ მდიდრულ  
ხალიჩას. ხარისძირები განსაკუთრებით დიდები და მშვე-  
ნიერები იყვნენ. მათ გარს ფურისულები შემორტყმოდათ,  
რის გამოც ბაცი ვადისფერი დაჰკრავდათ. ხუთი მილი ცხენით  
ვიარეთ. გზა, უფრო სწორად, ბილიკი თანდათან ზევით  
იწვედა. დაახლოებით ორი საათის შემდეგ უკვე მთებში  
ვიყავით. ვუახლოვდებოდით მონასტერს და პანორამაც უფრო  
და უფრო ფართოდ იშლებოდა. ჯუმათი ჩახატაურის<sup>32</sup> ქედის  
თავზეა, რომელიც რიონის აუზს სუფსის აუზისაგან ყოფს. ის  
ერთ-ერთი ქედის უმაღლესი მწვერვალია და ზღვის დონიდან  
1644 ფუტის სიმაღლეზე მდებარეობს. ჩრდილოეთისაკენ,

სადაც კავკასიონის მთავარი ქედი გადაჭიმულა, მისი  
ყინულოვანი მწვერვალების დანახვა შეიძლება. მათი კონტურ-  
ები მკაფიოდ ირეკლება ლაჟვარდოვან ცაზე. ენგური, ხობი,  
რიონი და წყალნითელა ნაყოფიერ ველებს შუა ჩამოედინება.  
აღმოსავლეთით ქართლი-იმერეთის ქედია. სამხრეთით მოჩანს  
აჭარა-ახალციხის მთათა თოვლით დაფარული მწვერვალები,  
რომლებიც კედლად აჰფარებია გურიის ტალღოვან მდე-  
ლოებს. ბათუმის სანაპირო ჩვენს თვალწინაა და ისეთივე  
მშვენიერია, როგორც ტრაპიზონისა. დასავლეთით შავი  
ზღვის სანაპიროა, თავისი კონცხებითა და ყურეებით, თან-  
დათან რომ აფერმკრთალებს შორეული ნისლი. შორს მოჩანს  
პალიასტომის ტბასთან მდებარე ფოთი. ჯუმათში მამა არსენი  
გვმასპინძლობდა - კეთილი, გულლია ბერი, იქ დასად-  
გურებული სიმყუდროვის მცველი და ჩვენი მეგზური ამ  
საინტერესო ადგილების დათვალიერებისას. მონასტერი ადრე  
საეპისკოპოსო საყდარი იყო და დიდ სიმდიდრეს ფლობდა. აქ  
ჯერ კიდევ შემონახულია შესანიშნავი ხატები. ეკლესია ოცი  
წლის წინათ რუხი პორფირით მოუპირკეთებიათ. ჯუმათიდან  
გავემგზავრეთ სუფსაში. ორი დღე თავად გურიელის



საზამთრო რეზიდენციაში გავატარეთ, იმ გურიელისა, რომელიც მთელი ამ არემარის მმართველი იყო XIX საუკუნის შუა წლებამდე<sup>33</sup>. გურიელის ოჯახი მრავალმხრივ გასაოცარია. მისი წევრები ერთმანეთისაგან გარეგნობით განსხვავდებიან. ახასიათებთ შესანიშნავი მუქი ხვეული თმა<sup>34</sup>. გურიელები იშვიათად იხურავენ ქუდს, რადგან კულულები ჯეროვნად იცავთ ზაფხულის სიცხისა და ზამთრის სუსხისაგან. მათ ძალიან ლამაზი, სწორი ნაკეთები და გულუბრყვილო გამოხედვა აქვთ, მაგრამ ამავე დროს, ინტელიგენტურები და ფიცხები არიან. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ისინი მეომარი ხალხია, და ეს იოლად დასაჯერებელია: არაერთ თხზულებაში აღწერილა მათი სიმამაცე, რომელთა ავტორია მამია გურიელი – შესანიშნავი თანამედროვე ქართველი პოეტი. იგი დაახლოებით ორი წლის წინ გარდაიცვალა<sup>35</sup>. მისი ლექსები მთელს ქვეყანაში ცნობილია, თუმცა ყველა მათგანი ჯერ არ



გამოქვეყნებულა. ოჯახს დღეს ტელემაქ გურიელი<sup>36</sup> თავკაცობს, რომელიც დიდი ენთუზიაზმით შეისწავლის მშობლიურ ლიტერატურას. სუფსაში ინგლისელი სტუმრის გასაცნობად მდიდრულ ეროვნულ სამოსში გამოწყობილი ბევრი თავადი ჩამოვიდა. იმის წარმოსადგენად, თუ როგორ აცვიათ ქალებს, ერთ კარგად აღნაგ ქალბატონს აღვინერთ. მისი ბაცი ზღვისფერი აბრეშუმის მანტიის ქვეშ მოჩანდა გრძელი კაბის წინა ნაწილი – მდიდრულად განწყობილ თეთრ აბრეშუმზე ოქრომკედით ნაქარგი. წელი ოქრომკედითვე ნაქარგი თეთრი სარტყლით დაემშვენებინა, რომლის

ბოლოები ტერფებამდე აღწევდა. შიშველ კისერს ყელსაბამი უმშვენებდა. კაბის სახელოები იდაყვიდან ფართოვდებოდა. ქართლელთა თავსაბურავს ახასიათებს ხავერდის ან აბრეშუმის ორი დიუმის სიგანის სალტე<sup>37</sup>, რომელიც აბრეშუმითაა ნაქარგი ან ძვირფასი ქვებითაა მოოჭვილი. ის ნარბებიდან იწყება და თავს მთლიანად ფარავს. ამ ადგილიდან მხრებამდე მაქმანიანი პირბადე ეშვება. თმა ჩვეულებრივ უკანა აქვთ გადანეული და დაწნული. წინ კი, სახის ორივე მხარეს, გრძელი კულულები ჩამოუშლიათ. გურულ ქალებსაც გრძელი ნანწავები აქვთ, ხოლო თავს შავი ან ფერადი ელეგანტური მაქმანიანი მანდილით იმოსავენ. ორივე თავსაბურავი ძალიან ლამაზია - თუმცა, გურულებისა, შესაძლოა, უფრო ახალგაზრდულ იერს ჰმატებდეს ნაკვთებს, ვიდრე - ქართლელებისა, რომელიც მათ ღირსეულ გამომეტყველებას ანიჭებთ. მოკლედ ასე შეიძლება დავახასიათოთ ამ ორი განსხვავებული პროვინციის მოსახლეობა - ქართლელები უფრო სერიოზულად და დარბაისლურად გამოიყურებიან, გურულები კი სხარტები და მხიარულები არიან. სუფსიდან ოზურგეთში - გურიის მთავარ ქალაქში - გავემგზავრეთ. სინამდვილეში, ეს დაბაა, რომელიც დიდ სოფელს ოდნავ თუ აღემატება. მის მკვიდრთ ლიტერატურისადმი დიდი ინტერესი ახასიათებთ. აქვთ სტამბა, სადაც ბევრი საინტერესო წიგნი დაბეჭდილა. აქ ჩვენი მასპინძელი გახლდათ ძველი ათაბაგების ანუ ახალციხის მთავართა შთამომავალი, რომელმაც დიდი სტუმართმოყვარეობა გამოიჩინა და პატივისცემით მიგვიღო. ოზურგეთის შემდეგ შემოქმედი მოვინახულეთ. ეს მონასტერი მდინარე ბჟუჟზე მდებარეობს. კარგი საბაბი მოგვეცა ამ მდინარის გახსენებისა: ჩვენი ეტლი რამდენჯერმე კინალამ ამოტრიალდა, როცა გორაკზე მირახრახებდა, წყალი კი ჩვენგან სულ ერთი დიუმით იყო დაცილებული! ადრე შემოქმედი, ისევე, როგორც ამ მხარის სხვა მონასტრები, კარგად გამაგრებული ადგილი იყო. მთელი გურიის მონასტრები

შემოქმედს ექვემდებარებოდნენ. მიწის უმეტეს ნაწილს ადრე მონასტერი ფლობდა. სამრეკლოთაგან ზოგი დაინგრა, ზოგიც გაქურდეს. მონასტერი ორნავიანია. უფრო ძველი და უფრო მომცრო რვაკუთხა გუმბათიდან შემოჭრილი სხივებით ნათდება. ტაძარი, რომელიც შიგნით აგურითაა ნაგები, გარედან კი - მოცისფრო პორფირით, უამთა სიავეს დაუზიანებია. აქ გურიელების საძვალეა<sup>38</sup>. მონასტრის წინამძღვარმა, მამა ამბროსიმ, მალალმა პირმშვენიერმა ქართლელმა, გულითადად მიგვიღო. მან წინა სალამოს მიგვიწვია და ჩვენს პატივსაცემად სადილი გამართა მონასტერში. დიდებულად მოვილხინეთ. ოზურგეთიდან გამომგზავრების წინ ქალაქის საზოგადოებამ გამოსამშვიდობებელი წვეულება მოგვიწყო კლუბში. არასოდეს დამავინწყდება გურულების აღფრთოვანება, კეთილგანწყობა და თხოვნა, ისევ ვწვეოდით მათ მხარეს. უთვალავჯერ მიგვიპატიუეს თავიანთ მამულებში. გამოსამშვიდობებელი ბანკეტი ორი საათი გაგრძელდა, და მხოლოდ იმიტომ დასრულდა, რომ ჩვენ სალამოს მატარებლით ბათუმს უნდა გავმგზავრებულყავით. იქ მყოფ ოთხმოცამდე სტუმართაგან ზოგი ძალზე მალალი მამაკაცი იყო, სამი მათგანი შვიდ ფუტამდეც კი აღწევდა. გამგზავრებამდე ერთ-ერთმა მთელი ბოთლი ადგილობრივი შამპანურით სულმოუთქმელად შესვა ჩვენი მშვიდობიანი მგზავრობის სადღეგრძელო. ბოლოს, ჩვენ გამოვიარეთ დარბაზში შეკრებილ ოთხმოც სტუმარს შორის, რომლებიც გვადღეგრძელებდნენ. შემდეგ ყველა მათგანი ჩვენთან დასამშვიდობებლად აივანზე გამოვიდა. იბერიელთა სტუმართმოყვარეობა კარგად არის ცნობილი. XIII საუკუნის მათი უდიდესი პოეტი შოთა რუსთაველი პოემაში „ვეფხისტყაოსანი“ წერს: „რასაცა გასცემ, შენია, რაც არა დაკარგულია“. ამ ქვეყნის მკვიდრთ არასოდეს ავინწყდებათ ეს მცნება და პრაქტიკულადაც იყენებენ მას. ქართველებს ერთი შესანიშნავი გამოთქმა აქვთ: „სტუმარი ღვთის საჩუქარია“ (სტუმარი ღვთისაა!, მთარგმნ.). სიძულვილი მათთვის უცხოა.

ისინი უბრალო, გულთბილი, წარმოსახვის დიდი უნარით და-  
ჯილდოებული ადამიანები არიან. მათ, ვისთვისაც ჩვეულება  
თანამედროვე ყოფის პირობითობა, ძალზე ხიბლავთ ქართ-  
ველთა საზოგადოებრივი ცხოვრება. ძნელად წარმოსადგენია,  
ისეთი სიმშვიდე ჰპოვო სადმე, ვიდრე – ზოგიერთ ქართულ  
ულამაზეს სოფელში. თვით ქართველი გლეხიც კი, რომელიც  
თვითონაც კულტურულია, ბევრ რამეს სწავლობს მშობლი-  
ური კლასიკური ლიტერატურიდან. ქართული სიტყვა კარგად  
ირითმება, ხოლო ქართული ძალზე რიტმული ენაა. სოფლის  
თითქმის ყველა მოსახლე მოყვარული პოეტია. ჯერ კიდევ  
არიან მენესტრელები, რომლებიც სოფელ-სოფელ დადიან,  
საზანდარზე (ფლეიტის მსგავსი მუსიკალური ინსტრუმენტი)  
უკრავენ, გვიამბობენ აბრაგების სიყვარულზე... უამრავ  
ცოცხალ კალმოსანს შორის უპირველესია ილია ჭავჭავაძე  
(უორდროპის შენიშვნა: თავადი უბედურ შემთხვევას ემსხ-  
ვერპლა). ის არა მხოლოდ დიდი პოეტი, არამედ – რომანისტი,  
სათავადაზნაურო ბანკის დირექტორი, ქართული სალიტერა-  
ტურო და პოლიტიკური ყოველდღიური გაზეთ „ივერიის“ რე-  
დაქტორია. მისი ლექსები გამოირჩევა კეთილშობილური აზ-  
როვნებითა და ენის ელეგანტურობით, ყველაზე მეტად კი –  
პატრიოტული სულისკვეთებით, რომლითაც ყოველი სტრიქო-  
ნია განმსჭვალული. მას ძალიან უყვარს ბუნება, რომელიც  
ახსენებს თავისი სამშობლოს დიად წარსულსა და გადაგვარე-  
ბულ ანმყოს. მყინვარწვერიდან გადმოხედვისას ილია შეიგრძ-  
ნობს თავისი საყვარელი ქვეყნის სულს და მწუხარედ დაჰყ-  
ურებს იბერიაში მომხდარ სავალალო ცვლილებებს, ქვეყანაში,  
რომელსაც დიდებულ და ძღვევამოსილ წარსულში თავისუფ-  
ლების ღმერთი მართავდა. უცქერს ქალარა წმინდა არაგვს და  
ქვითინით იხსენებს იმ დღეებს, როცა საქართველო ამ ნაკა-  
დევით ჰქუხდა მტერთან შებმისას, იგონებს, თავისუფლე-  
ბისათვის დაღვრილ სისხლს ეს წმინდა წყალი რა ხშირად  
შეუღებავს ყოლოსფრად. როცა გაზაფხული დედამიწას გა-

მოაფხიზლებს და სულს ხელახლა შთაბერავს, ილია სევდიანად კითხულობს: მისი საყვარელი მამული როსლა გაიღვიძებს;

თავადი აკაკი წერეთელი ის პოეტია, რომელსაც თანამემამულეები ილიას მსგავს პატივს მიაგებენ. მისი მუზა უფრო ლალია, მხიარულებას ეტრფის, და თუ ილია წარსულს მისტირის, აკაკი თავის ძლევამოსილ სატირას იყენებს ანმყოს გასაქილიკებლად. ის თავისი ქვეყნის კეთილდღეობის ერთგულია და ძალიან პოპულარულია ხალხში. აკაკი ყველას უყვარს.

თავადი ივანე მაჩაბელი (უორდროპის შენიშვნა: თავადი მაჩაბელი უცნაურად გაუჩინარდა: შესაძლოა, უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა) ინგლისელისაგან ყველაზე მეტ ყურადღებას იმსახურებს: მან ჯერ კიდევ სტუდენტობისას დაიწყო შექსპირის შესწავლა და ქართულად შესანიშნავად თარგმნა მისი რამდენიმე პიესა. ქართველებს უყვართ ისინი და დიდადაც აფასებენ მათ. ქართველებს, სხვა მთიელებივით, მდიდარი წარმოსახვა და პოეზიის სიყვარული გამოარჩევთ. ახლა შეუძლებელია ყველა სახელგანთქმული პოეტი ქალისა თუ მამაკაცის დასახელება, მაგრამ შეიმედება, რომ ინგლისელი საზოგადოება მალე უკეთ გაიცნობს ამ ხალხის ძველ თუ ახალ მდიდარ ლიტერატურას, ხალხისა, რომელსაც ძალზე ცოტა თუ იცნობს დასავლეთში: მოუხედავად იმისა, რომ ქართველები თავიანთ სიმპათიას ყოველთვის დასავლეთისადმი უფრო ამჟღავნებდნენ, ვიდრე – აღმოსავლეთისადმი. ჯერ კიდევ XI-XII საუკუნეებში დიდგვაროვან ყმანვილებს განათლების მისაღებად საბერძნეთში გზავნიდნენ. იმ დროიდან მოყოლებული ქართველები ცოდნის მისაღებად ევროპაში უფრო მიდიოდნენ, ვიდრე – აზიაში.

„ივერიის“ გარდა, ქართულ ენაზე რამდენიმე ჟურნალი და გაზეთი იბეჭდება. ყოველთვიურად გამოდის სალიტერატურო-სამეცნიერო ჟურნალი „მომამე“<sup>39</sup>; ყოველკვირეულია



„კვალი“<sup>40</sup>, სალიტერატურო და საოჯახო ილუსტრირებული გაზეთი; „მეურნე“<sup>41</sup> სოფლის მეურნეობის საკითხებს განიხილავს; „ჯეჯილი“<sup>42</sup> ილუსტრირებული საბავშვო ჟურნალია, ხოლო „მწყემსი“<sup>43</sup> – რელიგიური. სამწუხაროა, რომ ეს პატარა მამაცი ქვეყანა, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში ინარჩუნებდა საკუთარ დამოუკიდებლობას, უშიშრად იბრძოდა ქრისტიანული სარწმუნოების დასაცავად, რუსეთის სიბრყველის გამო ეროვნულობის დაკარგვის საფრთხის პირისპირაა. ქართველები ბუნებით ერთგულნი არიან. ეს მათ არაერთხელ დაამტკიცეს ჩვენს დროში, მაგრამ მათი ერთგულებისა და მეგობრულობის შენარჩუნება ვერც მათი მშობლიური ენის აკრძალვით მოხერხდება და ვერც მათი ეროვნული იდეის მუდმივი გაქეღვით; რუსეთი, ქრისტიანული ქვეყანა, რომელსაც დასახმარებლად მიმართა ერეკლე II-მ, როცა თითქმის მოიშუშა 1795 წელს ალა მაჰმადხანის სასტიკი ლაშქრობის შედეგად მიყენებული ჭრილობები, ისეთივე მტრად მოეგლინა საქართველოს, როგორც – მაჰმადიანები. რუსეთი განზრახ ცდილობდა ქართული ენის ამოძიკვას, აკრძალა მისი სწავლება სკოლებში. მხოლოდ როგორც უცხო ენას, ისე ასწავლიდნენ, და ისიც – დაწყებითი სკოლის ორ კლასში. ამის შედეგად, კურსდამთავრებულს თითქმის აღარ ახსოვს მშობლიური ენა. ქართული ლიტერატურა უდავოდ მდიდარია რუსულზე, თუმცა ნაკლებად ცნობილია რუსებისათვის. როგორც დაპყრობილთ, თვით გარუსებულსაც კი, რუსები ზიზღით ეკიდებიან. ისინი უპირატესობას იმათ ანიჭებენ, ვინც რუსეთშია დაბადებული. ეკლესიებში ღვთისმსახურება რუსულ ენაზე სრულდება. სასულიერო სემინარია ტიფლისში ჯერ კიდევ გასული წლის გაზაფხულზე დაიხურა, მას შემდეგ, რაც შეიარაღებულმა ძალებმა დაიპყრეს თბილისი. სტუდენტებმა ინსტრუქციის მიღება ქართულ ენაზე მოითხოვეს, რომელსაც რუსები „უარგონად“ მოიხსენიებდნენ. ამ სტუდენტებს აეკრძალათ

სწავლის გაგრძელება იმპერიის რომელიმე სხვა სასწავლებელსა თუ უნივერსიტეტში<sup>44</sup>. სკოლის მოსწავლეებს ანბანი თავიანთი დედებისაგან უნდა ესწავლათ; ხშირად ეს ერთადერთი ენა იყო, რომლებიც მათმა მშობლებმა იცოდნენ. სომხები ახლალა დაინტერესდნენ თავიანთი მეზობლებით, და არა მაშინ, როცა მათი დახმარება ქართველებს ასე ძალიან სჭირდებოდათ. ძნელი სათქმელია, რა უფრო სამწუხაროა – შემთხვევით ამტყდარი ხოცვა-ჟლეტა და თანაგრძნობის დაუყოვნებლივ გამოხატვა დაზარალებულთადმი თუ დიდხინიანი და სასტიკი სასონარკვეთილება, როცა უფრო ძლიერი ერთი ფეხქვეშ ქელავს მცირე ერის ეროვნულ ცხოვრებას, თავისუფლებასა და უძვირფასეს იდეებს! წინააღმდეგობა შეუძლებელია, რადგან პოლიციური სისტემა მეტად ფხიზელია. მაგალითად მოვიყვანთ ქუთაისში დაარსებულ ქალთა კერძო კლუბს. მისი წევრები სხვადასხვა სახლში იკრიბებოდნენ და ქართული კლასიკური ლიტერატურის ნიმუშებს კითხულობდნენ. კლუბი სულ რამდენჯერმე შეიკრიბა: ჟანდარმები შეცვივდნენ ერთ-ერთ სახლში, რომელშიც კლუბის წევრები შეკრებილიყვნენ და ნება არ მისცეს, მუშაობა გაეგრძელებინათ. რუსეთს დაავინწყდა, რომ საქართველო მას არ დაუპყრია: ამ ქვეყანამ დახმარება სთხოვა, და საქართველოსთან 1800 წლის 19 ნოემბერს დადებული ხელშეკრულების თანახმად, იმპერატორმა პავლემ ქართველთა ყველა უფლება და პრივილეგია აღიარა<sup>45</sup>.

ჩაგვრასა და დესპოტიზმს, აგრეთვე, სრულ რუსიფიკაციას, რომელიც ქართველებს დაატყდა თავს, შედეგად მოჰყვა მაღალი ცივილიზაციის დაცემა და აჯანყებული ხალხი, რომელიც მზადაა იმოქმედოს მის ეროვნულობას დამუქრებულ ცბიერ და სასტიკ საფრთხეთა თავიდან ასაცილებლად. საქართველოს უძველესი სამეფო დასავლეთ ევროპისაგან ელის შემწეობასა და თანაგრძნობას.



1. იბერიელები – უორდროპი იყენებს გამოთქმას: იბერიული რასა: Iberian Race.

2. გოლოვინსკის პროსპექტი – სწორედ ასე წერს უორდროპი: Golovinskii Prospect. ეს არის თანამედროვე რუსთაველის პროსპექტი, რომელსაც 1840-იანი წლებიდან კავკასიის მთავარმართებლის ევგენი გოლოვინის (მთავარმართებელი 1837-1842 წწ.) სახელი უწოდეს.

3. რეჯენტ სთრითი – Regent street — ლონდონის დასავლეთში მდებარე მთავარი სავაჭრო უბანი. სახელწოდება უკავშირდება პრინც-რეგენტს, შემდგომში დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს მეფე ჯორჯ IV-ს (1762-1830).

4. ბოტანიკური ბაღი – თბილისის ბოტანიკური ბაღი ერთ-ერთ უძველესია მსოფლიოში. მისი ისტორია XVII საუკუნის I ნახევრიდან (1636 წ.) იწყება. ბაღის წინამორბედი იყო სოლოლაკის სამხრეთით, მდინარე ნაკვისისწყლის ხეობის ქვემო ნაწილში (ლელვთახევში) გაშენებული დეკორატიული და სამკურნალო მცენარეების "სამეფო ბაღი". მას "ციხის ბაღს", იმავე "სეიდაბაღის ბაღს", ზოგჯერ "ცოდნის წყაროსაც" უწოდებდნენ. ადრე ამ მცირე თაროობში დასასვენებელი პარკი იყო. შემდეგ კი გაშენდა ახალი ბაღი, რომელიც ადრე "სამეფო ბაღი" ერქვა.

გვანდის ფრანგი მოგზაური ფ. შარდენი, ცნობილია, რომ კუთრებული რუდუნებით ამ ბაღებს ქართლ-კახეთის უკანასკნელი დედოფალი მარიამი (გიორგი XII-ის მეუღლე) უწვლიდა. მისი განსაკუთრებული ზრუნვის საგანი სამკურნალო მცენარეები ყოფილა. რუსეთის მიერ საქართველოს მიერთების შემდეგ ბაღი სახელმწიფო საკუთრება გახდა, შემდეგ კი სააფთიაქო ბაღებად გამოცხადდა. 1845 წლის 1 მაისიდან კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილ ვორონცოვის განკარგულებით, გაერთიანებულ ბაღებს ოფიციალურად ეწოდა „თბილისის ბოტანიკური ბაღი“. 1896-1904 წლებში ბაღი დასავლეთისკენ გაფართოვდა.

5. „მშვიდი და მღვრიე მოღვლავს მტკვარი“ – „the muddy and peaceful Kura flows through the while over all“ – უორდროპი ამ სიტყვებს ბრჭყალებში სვამს. შესაძლოა, ეს ბარათაშვილის ცნობილის სტრიქონების ციტირების ცდაც იყოს ლექსიდან „ფიქრნი

მტკვრის პირას" („ნელად მოლელავს მოდუდუნე მტკვარი ანკარა“), რომელიც ეგებ სცოდნოდა კიდეც იმდროინდელი ქართული პოეზიის ადეპტ მარჯორი უორდროპს, მაგრამ... ბარათაშვილთან მტკვარი „ანკარა“, მარჯორისთან – მღვრიე, ბინძური...

**6. მეტეხის სამრეკლო** – ტრადიციული რწმენით, მეფე ვახტანგ I გორგასალმა აქ ეკლესია და ციხესიმაგრე აღმართა, რომელიც ასევე მეფის რეზიდენციის ფუნქციას ასრულებდა. ერთი მოსაზრებით, სწორედ აქედან მომდინარეობს სახელი მეტეხი, რომელიც ნიშნავს „არემარეს, სასახლის ირგვლივ“. ნ. ჩუბინაშვილის აზრით, სიტყვა „მეტეხი“ ბერძნული „მეტოქისაგან“ წარმოდგება და აღნიშნავს „ეპისკოპოსთა ან არქიმანდრიტთა დროებით სადგომს ეკლესიითურთ სხვის ეპარქიაში“. „მეტეხი“ გვხვდება XII საუკუნის ისტორიულ წყაროებში. ამ პერიოდში ხაზართაგან დანგრეული ძველი ტაძრის ნაცვლად, ღვთისმშობლის შობის სახელობის ახალი ტაძარი ააგეს. გადმოცემის თანახმად, ძველ ტაძარში წმინდა შუშანიკი ყოფილა დაკრძალული. თამარის ისტორიკოსის, ბასილის ცნობით, როცა მეფეს ქართველთა ლაშქარი შამქორის ბრძოლაში გაუსტუმრებია, თავად ფეხშიშველი მოსულა მეტეხის ტაძარში და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისათვის საქართველო შეუვედრებია. რუსუდანის მეფობისას მონღოლებმა დაანგრეს მეტეხის ტაძარი. ეკლესია მეფე დემეტრე თავდადებულმა აღადგინა და აქ მონასტერიც დააარსა. „მეტეხის სამრეკლო“ აღადგინა ალექსანდრე ნიკიტაშვილმა. მარტვილის ცნობით, XVII საუკუნის II ნახევარში მეტეხის ტაძარი მიტოვებული და დაზიანებული ყოფილა. 1661 წელს მეფე ვახტანგ V შაჰნავაზმა ტაძარი აღადგინა, მაგრამ თოფის წამლის საწყობად აქცია. XVIII საუკუნის I ნახევარში მეტეხის ციხეში ჯერ თურქთა, შემდეგ სპარსთა გარნიზონი იდგა. 1748 წელს ერეკლე მეორემ მეტეხი ბრძოლით მოიპოვა და აღადგინა ეკლესია, შეაკეთა გუმბათი. ამ ფაქტს გვიდასტურებს ტაძრის აღმოსავლეთის კედელზე შემორჩენილი წარწერა. XIX საუკუნის შუა პერიოდში მეტეხის ტაძარი კვლავ შეუკეთებიათ.

**7. მუშტაიდის ბაღი** – თბილისის ერთ-ერთი უძველესი პარკი, რომელიც XIX საუკუნის 30-იან წლებში დაარსდა. ამ ადგილას ხუთ პექტარ ფართობზე პირველი ბაღი 1828 წელს ირანიდან საქართველოში ჩამოსულმა მირ ფეთეხ-ალა სეიდ თავრიზიმ გახსნა. იგი ირანის აზერბაიჯანში შიიტების რელიგიური ლიდერი - მუჯთა-

შიდი იყო. სწორედ მისი სასულიერო წოდებისგან წარმოდგა ბაღის სახელიც - მუშტაიდი. ფეთეხ-ალა სეიდ თავრიზი დიდგვაროვანი ოჯახიდან გახლდათ; მეტად განათლებული, მჭევრმეტყველი, ძალიან კეთილი, გულუხვი და მიმტევებელი მუშტაიდი ყველას უყვარდა. იგი რუსეთის მთავრობამ გადაიბირა და თავის სამსახურში ჩააყენა, რის გამოც ირანის შაჰმა მას სამშობლოში ჩასვლა აუკრძალა. მუშტაიდი თბილისში დასახლდა. ხელისუფლებამ ნება დართო, სასულიერო სკოლა გაეხსნა და საამისოდ მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მიწის ნაკვეთიც კი გამოუყვეს, სადაც მან შესანიშნავი ბაღი გააშენა. ამავე დროს, მას მტკვრიდან გვირაბი და სარწყავი არხიც გამოუყვანია, ეს გვირაბი ახლაც არსებობს, რომელიც იწყება მუშტაიდის ბაღიდან და უერთდება მტკვარს; შემორჩა არხიც, რომელიც დღესაც მოქმედია და წყალს აწვდის თბილისის რკინიგზასა და ბაღს. მუშტაიდის ბაღის დაარსებას საფუძვლად მეტად სევდიანი ამბავი უდევს. მუშტაიდს ცოლად ჰყავდა ქართველი ქალი — ნინო, რომელიც სტამბულის ტყვეთა ბაზარზე იყიდა. ირანიდან გახიზნულმა, სწორედ მისი თხოვნით აირჩია საცხოვრებლად თბილისი. ქალს თბილისში თავის მშობლები ცოცხლები აღარ დახვედრიან, დარდისაგან ავად გამხდარა და ექვს თვეში გარდაცვლილა. მუშტაიდმა საყვარელი მეუღლე სახლის წინ დაკრძალა და საფლავზე უამრავი წითელი ვარდი დარგო. გლოვობდა საყვარელ ცოლს, საღამოობით დიდხანს იჯდა საფლავთან. საფლავის ირგვლივ უამრავ ყვავილს, ბუჩქსა და ხემცენარეს რგავდა... ბაღის მოსარწყავად მუშტაიდმა მტკვრიდან 12 კილომეტრიანი არხი გაიყვანა. ასე დაწყებულა ამ შესანიშნავი ბაღის გაშენება. შაჰმა მუშტაიდი შეინყალა და ისიც 1845 წელს თავრიზში დაბრუნდა, ბაღი კი ერთ ვაჭარს მიჰყიდა. ამის შემდეგ ბაღმა რამდენიმეჯერ გამოიცვალა პატრონი და ბოლოს სასეირნო ბაღად იქცა. მთავარმართველმა მუშტაიდის ბაღი გაამშვენებია. აქ მრავალი გასართობი და თავშესაქცევი იყო: რესტორანი, ბუფეტი, პავილიონი, საზაფხულო თეატრი. ნიკო ფიროსმანმა სწორედ მუშტაიდის ბაღის ღია სცენაზე ნახა პირველად ფრანგი მომღერალი მარგარიტა. ბაღში კონცერტებს სხვებიც მართავდნენ. აქვე ეწყობოდა გამოფენები, იწვევდნენ სტუმრებს. სწორედ აქედან აუშვეს ამიერკავკასიაში პირველი საჰაერო ბურთი 1882 წელს.

8. 1887 წელს ბაღის ტერიტორიაზე ბუნებისმეტყველის, მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო საიმპერატორო საზოგადოებ-

ის კომიტეტის წევრის, ნიკოლოზ შავროვის ხელმძღვანელობით კავკასიის სააბრეშუმო სადგური დაარსდა. საქმე ის გახლდათ, რომ ახალგაზრდა მეცნიერი 1881 წელს სრულიად რუსეთის სამხატვრო-სამრეწველო გამოფენის მზადებასთან დაკავშირებით ამიერკავკასიაში მეაბრეშუმეობის შესასწავლად და განსავითარებლად მოავლინეს. 1884 წ. შავროვი ამავე მიზნით საზღვარგარეთ მიემგზავრება. 1886 წ. მან მინისტრს წარუდგინა თბილისში კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურის მოწყობის პროექტი. შავროვის მიერ ევროპული მივლინების განმავლობაში მიღებული ცოდნა და გამოცდილება, ისევე, როგორც მის მიერ ჩამოტანილი მნიშვნელოვანი კოლექციები, საფუძვლად დაედო აბრეშუმის მუზეუმისა და ბიბლიოთეკის დაარსებას. სადგურის კომპლექსი, რომელმაც ჩვენამდე დანგრეული სახით მოაღწია, 1892 წელს აიგო. კომპლექსის დიდი ნაწილი დროთა განმავლობაში დაინგრა. მთავარმა შენობამ კი, სადაც დღეს "აბრეშუმის სახლია" (მეაბრეშუმეობის მუზეუმი, ბიბლიოთეკა, მეაბრეშუმეობის საკოორდინაციო ცენტრი), თავდაპირველი სახით მოაღწია. აქვე აღვნიშნავთ, რომ უორდროპის ცნობა მეფუტკრეობის სადგურთან დაკავშირებით ასევე მართალია: XIX საუკუნის 90-იან წლებში თბილისში დაარსდა ამიერკავკასიის მეფუტკრეობის საცდელი სადგურიც, სადაც ცნობილმა რუსმა მკვლევარებმა კ. გორბაჩოვმა და ნ. შავროვმა საფუძველი ჩაუყარეს კავკასიური ფუტკრის შესწავლას.

9. **ტიფლისში რამდენიმე თეატრია...** – XIX საუკუნის დასაწყისში შეიქმნა სცენისმოყვარეთა წრეები. 1845 წელს თბილისში დაარსდა რუსული დრამატული თეატრი, ხოლო 1850 წელს, მონინავე ქართველ საზოგადო მოღვაწეთა თაოსნობითა და გიორგი ერისთავის ხელმძღვანელობით, ქართული პროფესიული თეატრი (1850-1856) აღორძინდა. 1851 წელს თბილისის ქარვასლის თეატრში გაიმართა პირველი საოპერო წარმოდგენა, ხოლო 1880-86 წლებში გოლოვინის პროსპექტზე (ახლანდელი რუსთაველის გამზ.) აიგო სახაზინო თეატრი, რომელშიც 1896 წლიდან "თბილისის სახაზინო ოპერის თეატრი", დღეს კი ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი ფუნქციობს. თბილისში ქართული პროფესიული თეატრის საქმიანობა ი.ჭავჭავაძისა და ა.წერეთლის თაოსნობით 1879 წელს განახლდა (ე.წ. მუდმივმოქმედი ქართული დასი).

10. **სპარსთა წინააღმდეგ...** – უორდროპი წერს: Persians.

როგორც ჩანს, იგი ამ სიტყვით, ზოგადად, მუსლიმებს აღნიშნავს.

11. **ქუთაისი-იმერეთის სატახტო ქალაქი** - ქუთაისის უთოდროპი მოიხსენიებს, როგორც იმერეთის დედაქალაქს: capital.

12. **თამადა (ტოლუმბაში)** - უორდროპი ჯერ წერს „თამადის“ ინგლისურ შესატყვისს — toastmaster, მერე კი იქვე განმარტავს დასავლეთ საქართველოში გავრცელებული სიტყვით „ტოლუმბაში“; ზაქარია ჭიჭინაძე წერს ამ სიტყვისა და ცნების მნიშვნელობაზე:

„ისე სუფრა არ გაიშლება ჩვენს ხალხში, მდიდრებში თუ ღარიბებში, რომ თამადა და ტოლუმბაში არ ამიირჩიონ, არ დასონ სუფრაზე და პირველი ალაგი არ მისცენ. მაგრამ არა მგონია ბევრმა იცოდეს ჩვენში — თუ რას მოასწავებს ამგვარი ჩვეულება და რა მნიშვნელობა აქვს თამადისა და ტოლუმბაშის არჩევას. ამის გამო მე აქ მოვიყვან რამდენიმე ცნობასა და სიტყვას, რომელიც ერთმა მოხუცებულმა გადმომცა ამ საგნის შესახებ. ეს ცნობები ტყუილი არ უნდა იყოს, რადგანაც მთქმელს თავის პაპისაგან გაუგონია ჩარექიშვილი თამაზასგანა, რომელიც მეფე ერეკლეს დროს დიდად განთქმული ტოლუმბაში და ღვინის მსმელი ყოფილა, ისე რომ თითო ჩარექს ისე დასცლიდაო, რომ ერთსაც არ დაისვენებდაო და ამისთვისაც უწოდეს მას „ჩარექაშვილიო“. მეფე ირაკლი მეორის დროსა სპარსეთსა და საქართველოს შუა ცოტათი კავშირი იყო ჩამოვარდნილიო და ხშირად მისვლა-მოსვლაცა ჰქონდათ ერთმანეთშიო; ამ დროს ხშირათ მოდიოდნენ ხოლმე ყვინის შვილები საქართველოს მეფეთა წინაშე და რჩებოდნენო; რასაკვირველია, წვეულებაც და მეძლიში საკადრისათ უნდა ემართად და მართამდნენ კიდევაც. მეფე ირაკლი მიიღებდა ხოლმე ყვინის შვილებს დიდის პატივითაო, თვის სამეფო სახლში მისცემდა სადგომ ალაგსა და მიინვევდა კიდევაცაო. აი ამ დროს მეფის ბრძანებით შეიყრებოდა მთელი საქართველოს წარჩინებული ახალგაზრდა ყმანვილ-კაცობა და ერთათ უნდა ეჭამათ სადილი ერთს რომელიმე სამეფო ბაღში ყვინის შვილების პატივის-საცემათ. ეს ახალგაზრდები ამიარჩევდნენ ერთს თავიანთთაგანს, რომელსაც შესძლებიყოს კარგა ბლომათ ღვინის სმა და ყველას დათრობა და მისცემდნენ მას პირველ ალაგს სუფრაზე და დასომდნენ მუთაქაზე. პირველათ მას უნდა დაეცალა აზარფეშა და საქმლის გემოც პირველათ მას უნდა ეგემებია, რომ სხვასაც მადა მისცემიყო ჭამა სმისა. აქედამ წარმომდგარა სიტყვა „თავი მადა“ ანუ თამადა. ტოლუმბაშიც იმიტომ დაურქმევიათ, რომ ესევე ზემოხსენებული პირი იყო



„ტოლების“, ერთად მსმელების „თავი“ ანუ სპარსულად „ბაში“. როგორც ახლა, მაშინაც ტოლუმბაშის მოვალეობა ის იყო, რომ სუფრაზე სუყველა დაეთრო და თვითონ კი ყოჩაღათ ყოფილიყო, სუფრის ალაგების დრომდინაო; ამ დროს ყველა ახალგაზრდა მას თავს დაუკრავდა და ეტყოდა „ტოლუმბაშს გაუმარჯოსო!“ და შემდეგ ნავიდოდნენ თავ-თავიანთ სახლებშიო. აი, ეს მნიშვნელობა პქონია თამადობასა. ესეც მითხრა ჩემმა მოხუცმა, რომ არ ვიცი, იქნება მეფე ერეკლეზე ადრეც იცოდნენ ქართველებმა ტოლუმბაშობაო, მაგრამ პაპაჩემ თამაზასაგან კი ასე გამიგონია, რომ ეს სახელი და ამბავი მეფე ერეკლეს დროს გავარდა მთელს საქართველოს ხალხშიაო“ (დროება 1878, I, 27, №19, გვ. 3-4). ზოგი ცნობის თანახმად, ზემო სვანეთში «თამადა», «თამათა» ერქვა თიბვის მესვეურს, ნინამძღოლს, რომელიც მუშაობისას სიმღერას იწყებდა. «თამადის» ნაცვლად ზოგჯერ თურქულიდან შემოსულ სიტყვას «ტოლუმბაშსაც» (თურქ. toplum başı — თავყრილობის/შეკრების უფროსი/თავი/ მეთაური) ხმარობენ. ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის ცნობით, «ტოლუმბაში» «ამხანაგების თავს» ნიშნავს.

13. „მრავალჯამიერი“ – როგორც ჩანს, უორდროპმა მოისმინა ე.წ. მოკლე „მრავალჯამიერი“, რომელიც კუპლეტური ფორმისაა. მას არ გააჩნია პოეტური ტექსტი, შემოფარგლულია მიმართვით იმისადმი, ვისი სადღეგრძელოც შეისვა – „მრავალჯამიერ ღმერთმან ინებოს თქვენი სიცოცხლე“, რომელსაც მოსდევს სამადლობელი – „მადლობელი ვარ სადღეგრძელოსთვის“.

14. „ლეკური“ – უორდროპი გულისხმობს ცეკვა „ქართულს“, რომელსაც განსხვავებული სახელწოდებებით მოიხსენიებდნენ: „სადარბაზო“, „სანადიმო“, „საარშიყო“, „დავლური“, „ლეკური“... ცეკვა ხუთნაწილიანია, ზოგჯერ ოთხ ნაწილადაც სრულდება. შესრულების აუცილებელი პირობაა: ქალთათვის – სამდაკვრით სვლაზე აგებული გედისებრი სინარნარე, ვაჟთათვის – მრავალნაირი გასმა ტანის შეურხველად. მუსიკალური ზომაა 6/8. ცეკვა „ქართულის“ კლასიკურ ნიმუშებს იხილავთ ზ. ფალიაშვილის, ვ. დოლიძის, მ. ბალანჩივაძის, დ. არაყიშვილის ოპერებში: „დაისი“, „აბესალომ და ეთერი“, „ქეთო და კოტე“, „დარეჯან ცბიერი“, „თქმულება შოთა რუსთაველზე“...

15. უორდროპის სიტყვით “Cirkassian costum”

16. „გავემგზავრეთ მონასტრისაკენ, რომელიც მეფე დავით განმაახლებელს აუგია XI საუკუნის ბოლოს...“ – უორდროპი დავით



აღმაშენებელს ასე მოიხსენიებს: King David the Renewer (მეფე დავით განმაახლებელი). სხვათა შორის, უცხოელ და თვით ქართველ მკვლევრებთანაც გვხვდება ასეთი ფორმა. მაგ., თ. ჟორდანიასთან (Давид Возобновитель). გელათის ტაძრის დაარსების თარიღად მიღებულია 1106 წელი.

17. დავით აღმაშენებლის ეპიტაფია, რომელსაც არსენ იყალთოელს მიაწერენ, ორი რედაქციით გვხვდება. პირველი ვერსია ამგვარია: «ვის ნაჭარმაგევს მეფენი თორმეტნი პურად დამეხსნეს, თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვარსა გარე გამეხსნეს, თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამეხსნეს, — ანლა ამათსა მოქმედსა გულზედან ხელნი დამეხსნეს.» როგორც ჩანს, უორდროპს აჩვენეს და უთარგმნეს ეპიტაფიის მეორე ვარიანტი, რომლის პირველი პნკარი ასე იკითხებოდა: „ვის ნაჭარმაგევს მეფენი შვიდივე პურად დამეხსნეს“.

18. თამართან დაკავშირებით უორდროპი იყენებს სიტყვას: granddaughter. თუმცა თამარი დავით IV-ს ძის, დემეტრეს შვილიშვილი იყო, ხოლო დავით აღმაშენებელს შვილთაშვილად ერგებოდა.

19. თამარის დაკრძალვის ადგილად გელათს ასახელებს „ქართლის ცხოვრება“ (იხ. „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი II, თბილისი, 1959, გვ. 113, 146).

20. ცნობილია, რომ გელათის მონასტერში ინახებოდა მდიდრულად მორთული და მინიატურებით შემკული ქართული ხელნაწერები, რომელთა დიდი ფონდი აქ ძველთაგანვე არსებობდა.

21. ხატის სახელწოდება მომდინარეობს ხახულის მონასტრიდან (დღესდღეობით მდებარეობს თურქეთის ტერიტორიაზე). თურქ-სელჩუკების შემოსევების დროს (1106-1125) დავით აღმაშენებელმა ხახულის ხატის შენარჩუნების მიზნით ის გელათის მონასტერში გადააბრძანა. 1859 წელს გელათის მონასტერი გაძარცვეს და გაიტაცეს ხახულის ღვთისმშობლის მინაწქრის ხატი. 1932 წელს გელათის მონასტრის არქივში მიკვლეულ იქნა აკვარელით შესრულებული ხატის მოჭედულობის ესკიზი, რომელიც ქ. ქუთაისის გუბერნატორის, ლევაშოვის დაკვეთით, მონასტრის გაძარცვამდე შეუსრულებია არქიტექტორ ვასილიევს. 1863 წელს ოქრომჭედელმა საზიკოვმა ესკიზის მიხედვით დაამზადა ახალი ხატის მოჭედულობა, რომელიც ლევაშოვმა 1865 წელს გე-

ლათის მონასტერს შესწირა. გატაცებული ღვთისმშობლის ხატი, როგორც ამას ნ. პ. კონდაკოვი მონუმბს, მოხვდა მ. პ. ბოტკინის კოლექციაში, რომელიც 1923 წელს რსფსრ ხელმძღვანელი თრგანოს დადგენილებით, საქართველოს დაუბრუნდა. ვედრების მინანქრის ხატიდან შემორჩენილია მხოლოდ ღვთისმშობლის სახე და ხელები. 1952 წლამდე ინახებოდა გელათის მონასტერში. ამჟამად კი საქართველოს ხელოვნების მუზეუმის საგანძურშია დაცული.

22. უორდროპი მოკლედ გვიამბობს „ქართლის ცხოვრებაში“ ჩართულ ანდრია პირველწოდებულის მიმოსვლის ამბავს (იხ. „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, თბილისი, 1955, გვ. 36-43), ოღონდ, მცირედი განსხვავებებით: „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში ნათქვამია, რომ ღვთისმშობელმა სახეზე ქსოვილი კი არა, ფიცარი მიიღო (გვ. 38). დედოფალი, რომელსაც უორდროპი ასახელებს, „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, აწყურის მთავარი, ქვრივი სამძივარია (გვ. 39). სწორედ მისი ძე აღუდგენია მკვდრეთით მოციქულს (გვ. 40). ანდრიას აწყურშივე დაუდასტურებია კერპთმსახური მღვდლებისათვის ქრისტიანული სარწმუნოებისა და ღვთისმშობლის ხატის ძღვევამოსილება (გვ. 41), ოღონდ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში ვითარება ოდნავ განსხვავებულადაა დახატული: იქაურები თურმე არტემისსა და აპოლონს ადიდებდნენ. ღვთისმშობლის ხატის სასწაულებმა განხეთქილება შეიტანეს მორწმუნე კერპთაყვანისმცემელთა ცნობიერებაში. ზოგი ამბობდა, ამ სასწაულთა მომხდენი ხატის თაყვანისცემა გემართებსო, სხვები ისევ ძველი კერპების სიდიადეს ამტკიცებდნენ. ანდრიას ასეთი რამ შეუთავაზებია: თქვენს საკერპო ტაძარში შევასვენოთ ხატი, ორივე კარი ჩავკეტოთ და მცველები დაუყენოთ. თქვენც ილოცეთ თქვენს ღმერთებზე და ჩვენც ვილოცებთ ქრისტეს მიმართ. დილით ვნახოთ: თუ ჩვენმა ღმერთმა სძლიოს, თაყვანი მას ეცით, თუ არადა, პირიქითო. გათენებისას გააღეს საკერპო ტაძრის კარი და იხილეს თავიანთი კერპები „ქუეყანად დათხეულნი და სახედ მტუერისა შემუსრვილნი. ხოლო ხატი ყოვლად-წმიდისა ღვთისმშობლისა ბრწყინვიდა, ვითარცა მზე, დიდებითა და პატივითა“ (გვ. 41). ამას მოჰყოლია საყოველთაო ნათლობა.

23. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ უორდროპი სწორედ „განმაახლებლის“ სახელით მოიხსენიებს დავით აღმაშენებელს. აქ არასწორადაა მითითებული მეფის რიგითი ნომერი (IV-ს ნაცვლად III).

გელათის მოზაიკა ქართული კედლის მხატვრობის ძეგლია (1125-1130), რომელიც გელათის ტაძრის საკურთხეველის აფსიდის კონქს ამკობს. ვარაუდობენ, რომ ეს მოზაიკა დავითის ძის, დემეტრე I-ს ზეობაში დაშადა. მოზაიკა დავით აღმაშენებლის ეპოქის მონუმენტური ხელოვნების მაღალმხატვრულ, დახვეწილი გემოვნებითა და ვირტუოზული ტექნიკით შესრულებულ ნაწარმოებად ითვლება და ძნელი სათქმელია, როგორ უკავშირებს უორდროპი (ან მისი გზამკვლევი, რომლისგანაც ინგლისელმა სტუმარმა ეს ინფორმაცია მიიღო) კედლის მხატვრობის ამ ნიმუშს ალექსი კომნენოსს. ცნობილია, რომ ალექსი I დიდი კომნენოსი (1182-1222) ტრაპიზონის იმპერიის პირველი იმპერატორი (1204-1222) და კომნენოსების დინასტიის დამაარსებელია. ალექსი იყო ბიზანტიის კარის სევასტოკრატორის მანუელ კომნენოსის და საქართველოს მეფის, გიორგი III-ის ასულის, რუსუდანის შვილი. 1185 წელს კონსტანტინოპოლში სახელმწიფო გადატრიალების შედეგად დაიღუპა მისი მამა და პაპა ანდრონიკე I, ალექსი და მისი ძმა დავითი საიდუმლოდ გადავიდნენ საქართველოში, სადაც უკვე მათი დეიდა თამარი მეფობდა. 1204 წელს ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ ხელსაყრელი პოლიტიკური სიტუაცია კარგად გამოიყენა თამარ მეფემ და ტრაპიზონის იმპერია ჩამოაყალიბა, რომლის იმპერატორადაც თავისი დისშვილი ალექსი I აკურთხა.

24. აქ უორდროპი (ან პირი, რომელიც მას ამ ინფორმაციას აწვდის) ორ ამბავს ერთმანეთში ურევს: გადმოცემის თანახმად, ერთი ქართველი ვაჭარი დარუბანდში ლეკებმა გაძარცვეს. ლეკების ბელადთან საჩივრელად მისულისათვის ბელადს დაცინვით უთქვამს: რა უნდა მიყოს შენმა დავით მეფემ, იმანაც დარუბანდის კარი არ ჩამომიხსნასო. ვაჭარს მეფისთვის შეუტყობინებია ეს ამბავი. დავითს დიდი კიდობნები დაუმზადებინებია: შიგ შეიარაღებული მეომრები ჩაუსვამს. უბრძანებია, აქლემებით, ჯორებითა და ცხენებით ეს კიდობნები დარუბანდამდე ჩაეტანათ. ვაჭრულად გამონყობილი სპასალარებისათვის ის ვაჭარი ჩაუყენებია წინ. ლეკთა ბელადისათვის წერილი გაუგზავნია ვაჭარს: ძველი წყენა დამავინყდა და ორმოცი აქლემით ურიცხვი საქონელი მომაქვს შენს ქვეყანაში გასაყიდადო. ლეკებსაც ფართოდ გაუღიათ ქალაქის კარიბჭე. ქართველებს ქალაქი აუღიათ და ლეკთა ბელადი დავითისათვის მიუგვრიათ. მეფეს ლეკებისათვის ქალაქის კარიბჭის ჩამოხსნა და ქუთაისში ჩამოტანა დაუვალბებია. კარიბჭე

გელათის ტაძრისათვის შეუწირავთ. ეს ამბავი თითქოს 1124 წლის აპრილში მომხდარა. მეორე ამბავს სომეხი ისტორიკოსი კირაკოზ განძაკეცი გვიამბობს: 1138-1139 წლებში ადარბადაგანსა და ირანში ძალიან დიდი მინისძვრა მოხდა. დანგრეულა განძაც. ამით ისარგებლა დემეტრე მეფემ, მიმონგრეულ ქალაქზე გაილაშქრა, გაუჭირვებლად აიღო და ნადავლით დაბრუნდა უკან. დემეტრეს განძას ალაყაფის კარიბჭე ჩამოუხსნია და გელათის მონასტრისათვის შეუწირავს. კარიბჭეზე ამოკვეთილი იყო არაბული წარწერა: "სახელითა ხვთისათა ყოვლად მოწყალისა და შემწყალებლისა! ამ კარების დამზადება ბრძანა ჩვენმა მბრძანებელმა ამირამ, სახელოვანმა საიდ შავირ შაზლას ძემ. ღმერთმა ახანგრძლივოს მისი მფლობელობა კადი აბულ ფარაჯ მუჰამედის, აბდ-ალაჰის ძის ხელმძღვანელობით! ღმერთმა ახანგრძლივოს მისი წარმატებები. ნამუშევარი იბრაჰამისა, ძისა ოსმანისა, ძისა მჭედლის ანქაველჰისა, წელსა 455-სა". ჰიჯრით 455 წელი ჩვ.წ-ით 1068 წელია. მეფე დემეტრეს ბრძანებით ამოუკვეთიათ ქართული წარწერაც... ამჟამად უკვე წაშლილი ეს წარწერა თავის დროზე მ. ბროსეს ამოუკითხავს და თ. ჟორდანიას თავის "ქრონიკებში" შეუტანია: "მეფემან დიმიტრი. . . ნანი დაარღვია და ეს კარი მუნით (მოიტანა) წელსა მეფობასა მისისა იგ: ხოლო დასაბამითგან (ხლ) მ (ბ)". განძის კარიბჭე ამჟამად დავით მეფის საფლავის ქვის ახლოსაა კედელზე მიკრული. დარუბანდის კარიბჭეს ჩვენამდე ვერ მოუღწევია. ძალიან მძიმე ყოფილა, გადაუდნიათ და მონასტრის განსაახლებლად გამოუყენებიათ.

25. უორდროპი ჯერ ინგლისური ტრანსლიტერაციით წერს „Motsamethi“, შემდეგ ფრჩხილებში ინგლისურენოვანი მკითხველისათვის განმარტავს მას. ეს სამონასტრო ანსამბლი სოფელ მონამეთასა და გელათის მონასტრის მახლობლად, მდინარე წყალნითელას ხეობაში მდებარეობს. იგი აგებულია წმინდანების, ძმების დავით და კონსტანტინე მხეიძეების უკვდავსაყოფად. როგორც ჩანს, უორდროპს უამბეს წმინდანთა ცხოვრება და მასაც შეუცდომლად მოჰყავს ტექსტში (დანერილია ძველადვე არსებული თხზულების მიხედვით, XII საუკუნეში) აღწერილი ამბავი: დავით და კონსტანტინე არგვეთის ერისთავები იყვნენ. VIII საუკუნეში შემოსეულ არაბთა ლაშქარს მცირე რაზმით თავგანწირულად შეებრძოლნენ, დიდი წინააღმდეგობის განევის მოუხედავად, ვერ შეაჩერეს ურიცხვი მტერი და დამარცხდნენ. არაბთა სარდალმა

მურვან ყრუმ შეპყრობილ ერისთავებს ქრისტეს რწმენის უარყოფა მოსთხოვა, რაზეც მტკიცე უარი მიიღო. განრისხებულმა მურვანმა დიდი ტანჯვა მიაყენა ძმებს: მათ დრო ითხოვეს და უფალს შეპალადაც: „ვითარცა დავიმარხენით ხორცი ჩვენი უხრწნელ და შეუგინებელ სახელისა შენისათვის შენისა წმიდისა, ეგრეთვე შემდგომად წამებისა ჩვენისა დაჰმარხენ გვამნი ჩვენი განუხრწნელად და დაურღვეველად, და რომელნი ხადონ სახელითა ჩვენითა სახელსა შენსა წმიდასა, მსწრაფლ ენიენ წყალობაი შენი და მიეც შენდობაი ბრალთაი და ყვენ ასონი ხორცთა ჩვენიანი მკურნალ ყოველთა სენთა და უძღურებათა დიდებად ყოვლად საგალობელსა სახელისა შენისა!“ ძმები წყალში ჩაყარეს. ღამით მოხდა სასწაული. ციდან ნათლის სამი სვეტი ჩამოდგა და ტბას მოეფინა. ირგვლივ საოცარი ბრწყინვალება გამეფდა. წმინდანთა გვამები მზესავით ანათებდა. მხეიძეთა ყმებს, რომელნიც იქვე მიმალულიყვნენ, მოესმათ ხმა: ნაიღეთ გვამები და მითითებულ ადგილას დაკრძალეთო. ეს იყო წყალწითელად წოდებული ადგილი. მურვან ყრუს მიერ დანგრეული ეკლესიის ქვეშ ცარიელ აკლდამაში დაკრძალეს მონამენი. XI საუკუნეში ბაგრატ III-მ ააშენა დანგრეული ეკლესია და იქ გადაასვენა წამებული გმირები. ტექსტის თანახმად, ტაძარში დასვენებული მონამეების გვამები, მათი თხოვნისამებრ, განუხრწნელნი და უვნებელნი დარჩნენ. მორწმუნენი მათთან შეხებისას სენთაგან იკურნებიან. ტექსტის თანახმად, დავით და კონსტანტინე მხეიძენი 730 წელს ეწამნენ (მათი წამების თარიღად გვხვდება 740 წელიც). საქართველოს ეკლესიამ დავით და კონსტანტინე მხეიძეები წმინდანებად შერაცხა და მათი მოხსენიების დღედ 2 ოქტომბერია დადგენილი.

26. იმერეთის მთავარეპისკოპოსი გაბრიელი (1825-1896) (ქიქოძე). მეუფე გაბრიელი 1860 წელს ხელდასხმულ იქნა იმერეთის ეპისკოპოსად და ამ მოვალეობას ასრულებდა გარდაცვალებამდე.

27. სეზარ სოლომონ მოლანი (S.C. Malan) (1812-1894) — შვეიცარიელი მღვდელი, ღვთისმეტყველების დოქტორი, ლინგვისტი, პოლიგლოტი (თავისუფლად ფლობდა 70 ენას); მარი ბროსეს მიერ 1830 წელს ჟურნალ *Asiatique*-ში გამოქვეყნებულმა მასალამ ევროპელი მკითხველი და, კერძოდ, ს. მოლანი ქართულ ლიტერატურასა და ისტორიას გააცნო. ევროპაში ამ დროს უკვე იყენებდნენ ქართულ-იტალიურ ლექსიკონს, სულხან-საბა ორბელიანის ქართულ ლექსიკონს, ქართული ენის გრამატიკას

(1867 წ.) და სხვ. ს. მოლანმა შეისწავლა ქართული, რუსული და სომხური ენები: შემდგომში იგი ამ ენებზე ქადაგებდა კიდევც-ბერს თარგმნიდა ქართული, სომხური და კოპტური ენებიდან; სწავლობდა ქართული, სომხური და კოპტური ეკლესიების ისტორიას. ოქსფორდში ახლად დაარსებულ Indian Institute-ს ს. მოლანმა გადასცა თავისი უდიდესი ორიენტალისტური ბიბლიოთეკა, რომელშიც ქართული წიგნებიც იყო. 1862 წელს ლონდონში დაისტამბა ს. მოლანის მიერ მომზადებული ნაშრომი „The Gospel according to St. John, translated from the Eleven Oldest Versions, except the latin, viz., the Syrian, Ethiopic, Armenian, Sahidic, Memphitic, Gothic, Georgian, Slavonic, Anglo-Saxon, Arabic, and Persian, with Foot Notes to every translation and criticism on all the 1340 alternations proposed by the Five Clergymen' in their Revision of that Gospel“. ნაშრომში გამოყენებულია იოანეს სახარების 11 თარგმანი, მათ შორის – ქართულიც. მოლანმა ქართულად თარგმნა და ლონდონში გამოსცა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებანი: Sermons by Gabriel, Bishop of Imereth, on Faith, Eternal Punishments, etc; with an Exposition of the Lord's Prayer and of the Beatitudes by the same author, intended for the Ossetes and for other inhabitants of the Caucasus. გაბრიელ ეპისკოპოსის ნაწერებით აღტაცებული ს. მოლანი მღვდელმთავრის პირადად გასაცნობად 1872 წლის 23 მაისს საქართველოში, ქუთაისში ჩავიდა, დაბინავდა ეპისკოპოსის რეზიდენციაში, დაუახლოვდა ბერებს, რომლებიც საქართველოს ღირსშესანიშნაობებსა და ტრადიციებს აცნობდნენ. გაბრიელიც მალე ჩამოვიდა, რომელთან ერთადაც მოლანმა ქართულად იქადაგა გელათის საკათედრო ტაძარში. მოლანი აღნიშნავს აქ დაცული სახარების მერვე საუკუნის ხელნაწერს, ფრესკებს, ხატებსა და საეკლესიო მუსიკას. ს. მოლანს ეკუთვნის ლონდონში სამ ტომად გამოცემული მეტად საყურადღებო ნაშრომი „Original notes on the books of Proverbs, according to the authorized version“, რომელშიც მსოფლიოს სხვა ენაზე დაცულ ეგზეგეზიკურ შორისაა „იგავნი სოლომონისას“ ქართული თარგმანიც. ამას წინ უსწრებდა მის მიერ 1865 წელს რუსულიდან ინგლისურად თარგმნილი და 1866 წელს გამოქვეყნებული პლატონ იოსელიანის „ქართული ეკლესიის ისტორია“, რომელსაც ერთვოდა წინასიტყვაობა და ვრცელი კომენტარები. ს. მოლანის თქმით, მისი მიზანი იყო, ანგლიკანური ეკლესია გაცნობოდა აღმოსავლურ ეკლესიებს, და

კერძოდ – ქართულს. ინგლისელმა მეცნიერმა პ. იოსელიანისაგან დამატებითი ცნობებიც კი მოითხოვა, შეკრიბა ქართველთათვის ხელმოწვევადომელი ევროპულ წიგნსაცავებში გაფანტული მასალა და გამოიყენა, რათა გამოცემა უფრო ფერსავე გამოსულიყო. მოლანმა შეკრიბა საკუთარი და გეოგრაფიული სახელები, რომლებითაც უცხოელები ქართველებს ეცნობოდნენ, განმარტა და დააზუსტა რამდენიმე ტერმინი... დღემდე ინგლისურენოვანი მკითველი საქართველოს ეკლესიის ისტორიას სოლომონ სეზარ მოლანის გამოცემის მეშვეობით ეცნობა.

28. ბაგრატის ტაძრის მშენებლობა დაიწყო X საუკუნის ბოლო მეოთხედში და დამთავრდა 1003 წელს. იგი აკურთხეს ღვთისმშობლის მიძინების სახელზე. მისი კურთხევა ბაგრატ III-ს განსაკუთრებული ზეიმით აღუნიშნავს. ვახუშტის ცნობით, 1692 წელს ტაძარი ოსმალებმა დაანგრეს.

29. ბაგრატის ტაძრის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ კედლებზე ამოკვეთილია ქართული ასომთავრული წარწერები. მთავარი სამშენებლო წარწერა, რომელშიც აფხაზთა და ქართველთა მეფე და კურაპალატი და დედამისი-გურანდუხტ დედოფალი იხსენიება, ამოკვეთილია ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის სარკმლების ზემოდან ჩუქურთმიანი თაღების ქვედა ბრტყელ ნახნაგზე. ტექსტის მონაცემებით (ბაგრატ III-ის ტიტულატურა) ძეგლი 1001-08 წლებით თარიღდება. ჩრდილოეთ კედელზე, აღმოსავლეთ მკლავის სარკმლის ქვემოთ ჩასმულ დიდი ზომის ქვის ფილაზე, სარკმლის ლიობის ორივე მხარეს ამოკვეთილია ორი წარწერა: შედარებით ვრცელი, 6 სტრიქონიანი მარცხენა წარწერა შინაარსით მემორიალურია და შეიცავს ბაგრატ III-ის განდიდების ტექსტს: „ქ. მეუფეო, მფლობელო ყოველთა სუფევათაო, უმეტესად ადიდე ძლიერი ბაგრატ კურაპალატი, აფხაზთა და ქართველთა მეფე, თანა: მამით, დედით დედოფლით და ძით მათით, ამენ.“ ტექსტის მონაცემებით (ბაგრატ III-ის ტიტულატურა, მისი დედისა და მამის ცოცხლად მოხსენიება) ეს წარწერაც, აღმოსავლეთ ფასადის წარწერის მსგავსად, 1001-08 წლებით თარიღდება. მარჯვნივ ამოკვეთილი წარწერის ტექსტი ასეთია: „ქ. ოდეს განმტკიცდა იატაკი, ქორონიკონი იყო 223“, ე.ი. 1003 წ. ეს წარწერა ქართულ წერილობით ძეგლებში პირველად გადმოსცემს თარიღს არაბული ციფრებით (მანამდეც და შემდეგაც თარიღი ასონიშნებით გადმოიცემოდა). ამ დროს თარიღის აღნიშვნა არაბული ციფრებით



კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ არაბული ციფრების ხმარება ევროპაში, გაცილებით გვიან შემოუღიათ, ვიდრე საქართველოში. დასავლეთის კარიბჭეზე ნაპოვნია ნარწერა, რომელიც ძირველ ხუროთმოძღვარს ზაქარბერ თურმანიძეს იხსენიებს. უორდროპი ქტიტორის სახელს ამ ტრანსლიტერაციით გვთავაზობს: Adgurba Maisa.

30. ნიგოეთი - ნიგოთი - სოფელი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში

31. ჯუმათის მონასტერი - ჯუმათის ეკლესია - მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია. მდებარეობს გურიის მხარეში, სოფელ ძირიჯუმათში. ოზურგეთიდან 14 კმ. გურიის ქედზე, მდინარე სუფსის ხეობაში. მონასტერი მოიცავს მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიას, გალავანს და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებს. ტაძარი ბაზილიკური ტიპისაა. მისი აგების თარიღი უცნობია. დ. ბაქრაძე მას შემოქმედის მონასტერზე ადრინდელად მიიჩნევდა. ფრესკები XVI-XVIII ს.ს. თარიღდება. 1847 წელს მონასტერი რუხი პორფირის ქვებით მოუპირკეთებიათ. სამხრეთის მხრიდან მიუშენებიათ ღმრთისმშობლის სახელობის ეკედერი, დასავლეთიდან კი კარიბჭე. გალავანში ჩაშენებულია სამრეკლო (1904 წ.). სამრეკლოს კვადრატულ საფუძველზე ამოყვანილი იყო მალაყელიანი, ექვსსარკმლიანი, ქვით ნაშენი გუმბათი. ამჟამად ზედა ნაწილი დანგრეულია. ჯუმათის ეკლესია ეპარქიის ცენტრი იყო, რომელიც მოიცავდა სუფსასა და რიონს შორის მოქცეულ მიწა-წყალს. ჯუმათის მონასტერი საეკლესიო და საგანმანათლებლო ცხოვრების მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა. მონასტერი ცნობილია სიძველეებით: აქ იყო მრავალი ძვირფასი ხატი, ისტორიული პირებისა და თარიღების შემცველი ისტორიული ნარწერები. ჯუმათის მონასტრის საგანძურში განსაკუთრებული ადგილი ეკავა ვეებერთელა სანინამძღვრო ჯვარს. ასევე განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია წმინდა გიორგის ოქროში ნაჭედი ხატი. წმინდა გიორგი ხატზე გამოსახული იყო სრული სახით, ფარით ხელში, ცხენის გარეშე. მეცნიერები ხატს XI-XII სს. მიაკუთვნებენ. ეს ხატი 1921 წელს, სხვა სიძველეებთან ერთად, მონასტრის გაძარცვისას დაიკარგა. მისი ორი ფრაგმენტი ამჟამად ერმიტაჟში ინახება.

32. უორდროპი ასე წერს: „Chakhatauri“

33. გურიელების ხელისუფლება რუსეთის მთავრობამ



ოფიციალურად გააუქმა 1828 წელს, 1850 წელს კი გურიის ბატონიშვილთა ოთხ ოჯახს უნარჩინებულეს თავადთა პატივი უბოძა. ამის შემდეგ იქცა „გურიელი“ მათ გვარად. გურიელების ოჯახი გამოირჩეოდა თავისი სტუმართმოყვარეობით, მათ სახლში იკრიბებოდნენ ქართველი ინტელეგენციის წარმომადგენლები.

34. სოლომონ ცაიშვილი თავის „მასალებსა და დოკუმენტებში“ აღწერს პოეტ მამია გურიელს: [მამიას პქონდა] ქედი ოდნავ დახრილი, თითქო დამძიმებული შავი და ხუჭუჭა გრუზა თმისაგან, რომელიც მამიას ისეთივე აქვს, როგორც – მის ძმებს“. ეს აღწერა ემთხვევა გურიელთა უორდროპისეულ აღწერას.

35. პოეტი მამია გურიელი (დაბ. 1836 წ.) გარდაიცვალა 1891 წლის 25 ივლისს, ქუთაისში.

36. ტელემაქ გურიელი — ძე დავით გურიელისა, ძმა პოეტ მამია გურიელისა. ტ. გურიელი ფლობდა რამდენიმე უცხო ენას, იმოგზაურა ევროპაში.

ტელემაქისა და მამიას მამა (ასევე, ჯამბაკურის, ვარდენის, ივდითის, მაკასი) დავითი 1828 წელს გურიის მთავარს, სოფიოს (ქალიშვილობის გვარი ნულუკიძე), რომელიც რუსულმა მმართველობამ გურიის მთავრად დანიშნა, ოსმალეთში გაჰყვა. საქმე ის გახლდათ, რომ 1819-1820 წლებში იმერეთში ანტიკოლონიურმა აჯანყებამ იფეთქა, ხოლო გურიის მთავრის გიორგი V გურიელის ვაჟმა, გურიის სამთავროს რეგენტმა 1797-1809 წლებში ქაიხოსრომ (გარდაიცვალა თურქეთში 1829 წელს) აჯანყებულებს თანაგრძნობა გამოუცხადა. რუსეთის მთავრობამ მას დევნა დაუწყო. ქაიხოსრომ თურქეთში გაქცევა მოახერხა. 1826 წელს გარდაიცვალა გურიის მთავარი მამია V გურიელი. რუსეთის სარდლობის თხოვნით, გურიის განმგებლობა დაევალა სამმართველო საბჭოს, რომელსაც სათავეში ჩაუყენეს სოფიო გურიელი-ნულუკიძე, მთავრის ქვრივი. სოფიოს იმედი პქონდა, რომ გურია რუსეთის ბატონობისაგან ოსმალეთის დახმარებით დაიხსნიდა თავს. რუსებმა სოფიოს სახალხო ლაშქრის შექმნა მოსთხოვეს. ცხადია, სოფიო რუსების მხარეზე ბრძოლას თავს არიდებდა და ლაშქრის შეკრებას აგვიანებდა. შეიძლება ითქვას, რომ რუსებმა გამოსცადეს სოფიო: თუ ოსმალეთი გაიმარჯვებდა, გურიის სამთავროც გათავისუფლდებოდა. ამიტომაც, რუსებმა დაასწრეს და 1828 წლის ოქტომბერში გურიის სამთავროში ჯარები შეიყვანეს. სოფიო მცირეწლოვან დავითსა და ეკატერინესთან

ერთად ოსმალეთში გაიქცა. 1829 წელს იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა გურიის სამთავრო გააუქმა. სოფიოსთან ერთად ემიგრაციაში წავიდა რჩეული საზოგადოება გურიისა: მათ შორის, ზემოაღნიშნულისამებრ, მამია გურიელის მამა დავით ვახტანგის ძე, იგივე დათა გურიელი, გურიის მთავარ გიორგი V-ს შვილიშვილი და უკანასკნელი მთავარ მამია სიმონის ძე გურიელის ბიძაშვილი. ისევ ცოცხლობდა იმედი, რომ ოსმალეთის სულტანი სძლევდა რუსეთს, მათ კი ამ ერთგულებისათვის სათანადო პატივს მიაგებდა. მაგრამ ემიგრანტებს არ გაუმართლათ. ოსმალეთი რუსეთთან ომში დამარცხდა (1829 წ.). სოფიო გარდაიცვალა. დედოფლის ამაღლა უპატრონოდ დარჩა ოსმალეთში. დავით გურიელი რამდენიმე წლის განმავლობაში ცხოვრობდა მცირე აზიის სხვადასხვა ქალაქში. 1832 წელს რუსეთის მთავრობამ ამნისტია მიანიჭა მთავრის ასულთან ერთად წასულ გურულ დიდგვაროვნებს და მათ მამულები დაუბრუნა. ამ დროს დაბრუნდა საქართველოში დავით გურიელიც.

37. შესაძლოა, ავტორი ჩიხტიკოვს გულისხმობდეს.

38. **შემოქმედი** — სოფელი ოზურგეთის რაიონში — სოფელში, მდინარე ბუჯის სამხრეთით, გორაკზე დგას განვითარებული შუა საუკუნეების სამონასტრო კომპლექსი. მონასტერი შედგება სამი ძეგლისგან. მათგან ორი ერთმანეთზე მიდგმული ტაძარია: XII საუკუნის ღვთაების ტაძარი (ბაზილიკა) და XVI საუკუნის გუმბათოვანი ეკლესია "ზარზმა", რომელიც ვახტანგ I გურიელმა საგანგებოდ ააგო, რათა შიგ დაებრძანებინა ზარზმის მონასტრიდან XVI საუკუნეში გადმოსვენებული ფერიცვალების ხატი. მესამე ძეგლია XVI საუკუნის სამრეკლო, რომელიც 1831 წელსაა აღდგენილი.

